საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით

პარასკევი 23 იანვარი, 1920 წ.

ერთობა

ფასი 3 მანეთი

გაზეთი ღირს 1 თვით 75 მანეთი, ცალკე ნომერი ყველგან 3 მანეთი. განცხადების ფასი პირველ გვერდზე პეტიტის სტრიქონი 5 მანეთი. მეოთხე გვერდზე 4 მან. სამგლოვიარო განცხადება ჩვეულებრივი ზომის 15×2 სტრიქონი პეტიტ. 100 მანეთი. ნისიათ განცხადებები არ დაიბეჭდება. რედაქცია და კანტორის ადრესი: კრუზენშტერნის ქ. 4, შესახვევი რუსთაველის ქუჩის მე-18-თან.

№ 16 ორგანო საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციებისა № 16

ეროვნული ბიბლიოთეკა

კვირას, 1920 წ 25 იანვარს, დღის 12 საათზე, თფილისის სასოფლო სამეურნეო ბანკის ბინაზე (დამფუძნებელ კრების ქუჩა № 5) დანიშნულია

საქართველოს საკრედიტო დაწესებულებათა წარმომადგენლების ყრილობა

განსახილველია საკითხები:

1) საქართველოს პასუხისმგებელ მოხელეთა არტელის წარმომადგენლის მოხსენება არტელის საქმეების შესახებ. 2) საქართველოს ცენტრალური სავაჭრო-სამრეწველო ბანკის ორგანიზაცია. 3) სხვა მიმდინარე საკითხები. ყრილობის წევრნი და ზემოაღნიშნულ საკითხებით დაინტერესებულნი პროვინციელი საკრედიტო და შემნახველ-გამსესხებელი ამხანაგობანი გზავნიან ხსენებულ ყრილობაზე ამ განცხადების მიხედვით თითო წარმომადგენელს სათანადო რწმუნებულებით. (268—3—1)

სადგურ მცხეთის საქ. რკ. გზ. ნავთსადენის მოსამსახურენი ღრმის მწუხარებით აუწყებენ ნაცნობთ და ამხანაგებს ამხ. მემანქანის

არქიპო ივანეს ძე კაკაურიძის

ტრაღიკულად გარდაცვალებას. მ. წ. 21 იანვარს დღის 2 საათზე. გამოსვენება თფილისის რკინის გზის საავადმყოფოს სამლოცველოდან დღეს 23 იანვარს დილის 9 ს წესის აგება და დასაფლავება კუკიის წმ. ნინოს სასაფლაოზე (262—1—1)

თბილისის დეპოს და მთავარ სახელოსნოს რაიონული გამგეობა და ორთქლმავალთა ბრიგადების სექცია აუწყებს ამხანაგებს, რომ ტრაღიკულად გარდაცვალებულის ამხანაგი

არქიპო კაკაურიძის

გამოსვენება მოხდება სამოქალაქო წესით პარასკევს 23 იანვარს ნაშუადღევის 2 საათზე ბინა ჩერქეზოვის ქუჩა სახლი № 137. (269—1—1)

ღრმად დამწუხრებულნი მეუღლე ეფროსინე დავითის ასული, შვილები: ანდრია, ნინო, სიძეები: ერასტი და მისი მეუღლე მატილდა დიმიტრის ასული მაჭავარიანები, იაკინთე და მისი მეუღლე ლუსინე იოსების ასული და მათი შვილი ელენე შევარდნაძეები, აუწყებენ ნაცნობთ და ნათესავთ, რომ შაბათს, ა. წ 23 იანვარს დილის 10 საათზე ქ. ლანჩხუთში წმინდა გიორგის ეკლესიაში გადახდილი იქნება წლის წირვა და პანაშვიდი ექიმი

დიმიტრი იოსების-ძე ჟორდანიას

სულის მოსახსენებლად (263—2—1)

ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ იანვრის 20-ს ქ. თფილისში გარდაიცვალა

სოლომონ ივანეს ძე კურდღელაშვილი

რასაც მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, განსვენებულის ძმის წული ნიკოლოზ სვიმონის ძე და რძალი ბაბილინა ისაკის ასული კურდღელაშვილები. პანაშვიდი დღეს, საღამოს 6 საათზე, განსვენებულის ბინაზე (არქიელის მოედანი, სახლი გედევანოვისა). გამოსვენება წმ. გიორგის კარის ეკლესიიდან შაბათს, იანვრის 24 ს. (270—1—1)

თფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამგეობა აცხადებს, რომ უნივერსიტეტისათვის

საჭიროა ბუღალტერი

რომელმაც უნდა იცოდეს ორმაგი ბუღალტერია და აგრეთვე გაცნობილი უნდა იყოს სახაზინო საქმის წარმოებას. მსურველთ თხოვნები უნდა წარმოადგინონ უნივერსიტეტის გამგეობის სახელობაზე არა უგვიანეს ერთი კვირისა ამ განცხადების გამოქვეყნებიდან, მუშაობის პირობების გაგება შეიძლება კანცელარიის გამგესთან. (257 1—1)

სახალხო გვარდიის მთავარ შტაბის ავტო-ტექნიკური განყოფილების მიერ

მ. წ. 1 თებერვალს, დილის 11 საათზე

საჯარო ვაჭრობით

გაიყიდება შემდეგი ავტომობილები: 1) ლორინ-კლემენტი—8 ძალ. შეფასებული 10,000 მან., 2) ოპელი 6 ძ ლ., შეფასებული 20,000 მ., 3) სტიევერი, 6 ძალ. შეფასებული 30,000 მ., 4) ბენცი, 8 ძალ. შეფას. 12,000 მან. 5) ბენცი 20 ძალ. შეფას.—50,000 მან. 6) ნ. ა. გ. 18 ძალ. შეფას.—20,000 მ., 7) ნ. ა. გ. 6 ძალ. შეფას.—13,000 მ. 8) ფორდი 22 ძალ. შეფას.—5,000 მ., 9) რუსულ-ბალტიური 16 ძალ. შეფას.—20 000 მ., და 10) პეჟო (ნახევრად საბარგო) 16 ძალ. შეფას.—30,000 მან. მისამართი: ელისაბედის ქ. სახლი № 119.

სახ. გვ. მთავარი შტაბი. (228—6—2)

ექიმი ხარიტონ ამბროსის ძე

ცეხანოვსკი

საპიორნი ქუჩა საკ. სახლი № 28 ევანგულოვის ქუჩის კუთხე სახელმწიფო თეატრის უკან.

ჩამოვიდა ქუთაისიდან და ღებულობს სქესის, შარდის, ვენერიულ და სიფილისიან ავადმყოფებს (606—914)

მიღება: დილის 8—9 ს. მოწაფეებს და ღარიბებს უფასოთ. 10—12 ს. საღამოს 4—5 ს. მარტო ქალებს 5—6 ნახ. ს. (თ.—3423)

ექიმი ბ. ი. ოქროპირიძე

იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს საღამოს 4—6 საათამდის. რტიშჩევის ქუჩა № 22, სოლოლაკი. (ნ.—თ.).

კლემანსოს დაცემა

ვინც საფრანგეთიდან მოსულ ცნობებს ადევნებდა ამ ბოლო დროს თვალყურს, არ შეიძლება განცვიფრებაში არ მოსულიყო იმ პირველ შეხედვით მოულოდნელ შედეგისაგან, რომლითაც დამთავრდა საფრანგეთის პრეზიდენტის არჩევნები. ორი-სამი დღის წინ ამ პიროვნების შესახებ ცნობის მოსვლამდის არავის ეჭვი არ ექნებოდა, რომ პრეზიდენტათ ყველა პარტიების ხმებით, გარდა სოციალისტებისა არჩეული იქნება ჟორჟ კლემანსო, ეს უძლიერესი და უდიდესი პიროვნება საფრანგეთისა, რკინის ნებისყოფით დაჯილდოებული, ეს, როგორც მას უწოდებენ, „საფრანგეთის ლომი", ძლეველი გერმანიისა, ის კლემანსო, რომელმაც უკანასკნელ საპარლამენტო არჩევნებში ბრწყინვალეთ გაიმარჯვა—თავის მემარცხენე მოწინააღმდეგეებზე. არ შეიძლებოდა დაებადებოდა ვინმე ეჭვი, რომ, თუკი თვით კლემანსო გამოაცხადებდა თანხმობას, იგი იქნებოდა რესპუბლიკის პრეზიდენტათ არჩეული. და უცბათ ცნობა მოდის, რომ საფრანგეთის პრეზიდენტათ აურჩევიათ შედარებით უფერული პოლ დეშანელი, რომ მან ოცი ხმა მეტი მიიღო, ვიდრე გუშინდელმა „საფრანგეთის დიქტატორმა". ამას ზედ დაერთო ჟორჟ კლემანსოს კაბინეტის გადადგომა და მას ნაცვლად მინისტრ-პრეზიდენტათ მილიერანის დანიშვნა. კლემანსო სამუდამოთ თავს ანებებს პოლიტიკურ მოღვაწეობას და ვანდეის მიყრუებულ პროვინციაში მიდის მემუარების საწერად..

პირველ შეხედვით ეს ამბავი განსაცვიფრებელია თავის მოულოდნელობით. მაგრამ ვინც ღრმად ჩაუკვირდება მსოფლიოს პოლიტიკურ კონიუნქტურას, მისთვის ბევრიამ ისეთი გამოირკვევა, რაც ყველა ამ ამბებს ადვილათ ახსნის.

რაც უფრო დრო მიდის და რაც უფრო ირკვევა ხუთი წლის მსოფლიო ომის გამანადგურებელი შედეგები, მით უფრო აშკარა ხდება, რომ ევროპის ძლიერი სახელმწიფოები განიცდიან კრიზისს, რომლის საშინელება დღითი დღე უფრო და უფრო იზრდება, რომ უწინდელი ფორმა საზოგადოებრივ წყობილებისა აღარ ეგუება დღევანდელ მდგომარეობას, რომ მსოფლიო კაპიტალიზმი და მისი პოლიტიკური გამოხატულება—მილიტარიზმი—უფრო და უფრო უახლოვდებიან უფსკრულს. ეს აშკარა ხდება ყველა შორსმჭვრეტელ სახელმწიფო მოღვაწეთათვის და თვით კაპიტალისტურ სახელმწიფოების მესვეურნიც ეძებენ გამოსავალ გზას, რომ როგორმე თავიდან აიცილონ ძველი საზოგადოების აფეთქება.

ყველაზე უწინ ეს ძიება მორიგების, დათმობის გზისა დაიწყო იმ სახელმწიფოს, რომელიც წარსულში სწორეთ თავის დროზე მინიმალურ დათმობის პოლიტიკით ახერხებდა ხოლმე დიდი აფეთქების თავიდან აცილებას. მთელი მსოფლიოს გამარჯვებულ სახელმწიფოთა უმაღლეს საბჭოშიც შეიჭრა ამნაირი დათმობის პოლიტიკა, რომელიც პირველ ხანებში ვერ ჰპოვებდა გასავალს, მაგრამ ამ ბოლო დროს მტკიცე ნიადაგი მოიპოვა „ანტანტის" სახელმწიფოების უმრავლესობაში. მსოფლიო დემოკრატიის გავლენამ დიდი როლი ითამაშა „ანტანტის" უმაღლეს საბჭოს პოლიტიკაში: საფრანგეთის პროლეტარიატის უკმაყოფილება არ შეიძლება შეუმჩნეველი და ანგარიშ გაუწეველი დარჩენილიყო მის მხრივ. იტალიის პარლამენტის არჩევნებში გამარჯვებულ სოციალისტურ პარტიის მოთხოვნილებამაც, როგორც საფრანგეთის რეაქციონურ მიმართულების პრესა აღნიშნავს, დიდი გავლენა იქონია უმაღლეს საბჭოს პოლიტიკაზე. მაგრამ გადამჭრელი როლი ითამაშა მის მიმართულების შეცვლაში ინგლისის მუშათა სამ უძლიერეს პროფესიონალურ კავშირის გაფიცვამ. და, რაც ყველაზე აღსანიშნავია, ყველაზე ძლიერათ დათმობის გზაზე მიეწოდა უმაღლეს საბჭოს სწორეთ ინგლისის პრემიერი ლოიდ ჯორჯი, მას უკანასკნელ დროს გვერდში ამოუდგა ნიტტი, პრემიერი იმ იტალიისა, სადაც სოციალისტურმა პარტიამ არჩევნებში ბრწყინვალეთ გაიმარჯვა.

ყველაზე მეტი სიმტკიცე ძველი წესწყობილების დაცვაში გამოიჩინა უმაღლეს საბჭოში მისმა თავმჯდომარემ—საფრანგეთის წარმომადგენელმა ჟორჟ კლემანსომ, ეს ბრძოლის კაცი, ბრძოლაში გაკაჟებული და ოთხმოც წლამდის მიღწეული, ვერ შეეგუებოდა დათმობის პოლიტიკას. რაც დრო მიდიოდა, უფრო და უფრო აშკარა ხდებოდა, რომ ლოიდ ჯორჯის გზას კლემანსო ვერ დაადგებოდა. „ანტანტის" სახელმწიფოების უმაღლეს საბჭოში ამის გამო ხდებოდა ძლიერი შეხლა-შემოხლა, რომელიც უმაღლეს საბჭოს საქმიანობას შეუძლებლათ ხდიდა. საბჭოს ამნაირი უძლურება შეიძლებოდა „ანტანტის" სახელმწიფოთა შეთანხმების და კავშირის დარღვევა მოჰყოლოდა.

ყველაზე მწვავე და ძნელი გადასაწყვეტი „რუსეთის საკითხი" გამოდგა. მას შემდეგ რაც დენიკინ-კოლჩაკის მარცხი საბოლოოთ გამოირკვა, უმაღლეს საბჭოს წინაშე დადგა დილემმა: ხელოვნური საშუალებით აღადგინოს რუსეთის მომაკვდავი რეაქცია, თუ დაიჭიროს კავშირი მის მესაფლავეებთან—საბჭოთა რუსეთთან—და გამონახოს ერთნაირი ნორმალური ურთიერთობის ფორმა მასთან.

ყველა მოკავშირე სახელმწიფოები ბოლო ხანებში გადაჭრით დაადგნენ იმ აზრს, რომ ამნაირი ფორმა უნდა გამოინახოს. მხოლოდ საფრანგეთი—კლემანსოს სახით—ეწინააღმდეგებოდა ამას. უკანასკნელ ხანებში უმაღლეს საბჭოში საფრანგეთი მარტო-მარტო დარჩა შეურიგებლობის და დაუთმობლობის ნიადაგზე. მას საფრთხე მოელოდა, რომ ყველა მოკავშირეებს მოიმდურებს და გარიყული დარჩება. მისი დღევანდელი შინაური მდგომარეობა კი ისე გაჭირვებულია, რომ საფრანგეთს მოკავშირეთა მომდურება სრულებით არ შეუძლიან. მის წინაშე კითხვა ასე იდგა: კლემანსოს გზით სვლა და მეგობარ სახელმწიფოებთან კავშირის გაწყვეტა, თუ კლემანსოს დათმობა? და საფრანგეთმა გადასწყვიტა ისევ თავისი გუშინდელი კერპი—კლემანსო—დაეთმო, ოღონდ მოკავშირენი არ შემოეფანტოს. ეს აზრი აქვს საფრანგეთის პრეზიდენტის არჩევნებს, კლემანსოს სამინისტროს გადადგომას და მილიერანის ჩადგომას მთავრობის სათავეში. ეს ფაქტები იმის მომასწავებელია, რომ მსოფლიო კაპიტალიზმი მზათ არის შეიჩიროს ურყევი და მტკიცე სიარული ძველი გზით და გამონახოს ახალი ფორმები მშრომელ კლასებთან მოსარიგებლათ. ეს იმის მაუწყებელია, რომ მსოფლიო კაპიტალიზმი ამიერიდან მიატოვებს კლემანსოს გზას და ივლის ლოიდ-ჯორჯის გზით.

სოციალისტ-რევოლიუციონერების წინადადება

ჩვენსა და სოციალისტ-რევოლიუციონერთა შორის დიდი ხანია თეორიული და ტაქტიკური დავა არსებობს. დიდი ხანია ჩვენს შორის მკაცრი ბრძოლა სწარმოებს, მაგრამ არას დროს ამ ბრძოლას ისეთი დამახინჯებული და ულირსი ხასიათი და ფორმა არ ქონია, როგორც ეს იყო ჩვენში, განსაკუთრებით საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ.

ამ დღიდან ესერების საოლქო კომიტეტი ნამდვილი რუსულ-სომხური შოვინიზმის მატარებელი და მედროშე გახდა. ამ დღიდგან იწყება მისი აშკარა ღალატი ინტერნაციონალური პრინციპებისა, ამ დღიდან დაჰკარგა მან ყოველ გვარი უნარი სალი მსჯელობისა და სასტიკ ოპოზიციაში ჩაუდგა თავის საკუთარი პროგრამის იმ მუხლსაც კი, რომელიც აღიარებს ხალხთა თვითგამორკვევის პრინციპს, და რომელიც დიდი ხანია დადასტურებულია ინტერნაციონალური კონგრესების მიერ.

ამ ბრძოლაში ისინი დამარცხდენ. უნდა დამარცხებულიყვენ კიდეც, რადგან ჩვენში ვერ იხეირებს და ვერ გაძლიერდება ვერც ერთი ისეთი პარტია, რომელიც თავის პრინციპებს შოვინისტურ სამოსელში გახვევს და თავის პოზიციებზე ნაციონალისტურ დროშას აატრიალებს.

ეს სასტიკი დამარცხება ავალებდა ესერების პარტიას მოეხედა ირგვლივ, გადაეთვალიერებია თავის წარსული, გადაესინჯა თავის ტაქტიკა და შეხედულება და ასე თავის პროგრამის ფარგლებში მაინც დაბრუნებულიყო. მაგრამ ესერების გზა აბნეულობამ აქაც იჩინა თავი და ნაცვლათ თავის შეცდომების აღიარებისა ჩვენი პარტია გამოიწვია სამედიატორო სამართალში „ანტისოციალისტური მოღვაწეობისათვის მუშათა ინტერნაციონალური და დემოკრატიული პრინციპების დარღვევისათვის". (ესერების წერილი ს. დ. ცეკასადმი).

სოციალ-დემოკრატიული პარტიის ცენტრალურ კომიტეტს არ შეეძლო, რასაკვირველია, მიეღო ასეთი წინადადება. არ შეეძლო იმიტომ, რომ სრულიად შეუწყნარებელია არბიტრით პრინციპიალური ხასიათის საკითხების გარჩევა სამედიატორო სასამართლოს მიერ. ასეთი პრეცედენტი არ ახსოვს სოციალისტური მოძრაობის ისტორიას. ეს არის ესერების გამოგონება და სამუდამოთ მათ კუთვნილებათაც დარჩება.

მაგრამ ერთი ვიკითხოთ—ვის უნდა გაერჩია ეს დავა? ვერც ჩვენი და ვერც მათი პარტიის წევრები მსაჯულები ვერ იქნებოდენ ცხადია, ჩვენი პრინციპების და ტაქტიკის საკითხი უნდა გაერჩია ისეთ პარტიების თუ ჯგუფების წევრებს, რომლებიც არამც თუ იზიარებენ—უარყოფენ და ებრძვიან კიდეც ამ პრინციპებს და ამ ტაქტიკას. რა მნიშვნელობა ექნებოდა ასეთი მსაჯულების აზრს? რასაკვირველია არაფერი. ამიტომაც სოც.-დემოკ. ცენტრალურმა კომიტეტმა უარყო ეს კურიოზული წინადადება და სრულიად სამართლიანად აუხსნა ესერების საოლქო კომიტეტს, რომ „სოციალისტური პრინციპების დარღვევის უმაღლესი მსაჯულია ინტერნაციონალი და ესერებმაც იქ უნდა მიმართონ, თუ რამე სათქმელი აქვთ ჩვენ წინააღმდეგ". ს. დ. ცენ. კომიტ. ისიც დაუმატა, რომ ის თვითონ ცდილობს თავის წარმომადგენლების საშუალებით დანიშნულ იქნას ინტერნაციონალის მიერ საანკეტო კომისია პარტიული საქმეების გასაცნობათ ამიერკავკასიის რესპუბლიკების ფარგლებში.

თუ ასეთი კომისიის დანიშვნა მართლაც მოხერხდა, დარწმუნებული ვართ მის მკაცრ მსჯავრს ვერ აცდება ესერების გაშოვინისტებული საოლქო კომიტეტი.

რაც შეეხება მათ მეორე განცხადებას თითქოს ს. დ. ცენტრალურ კომიტეტს პასუხი არ გაეცეს მათ გაწვევაზე, ეს რასაკვირველია ისეთივე ჭორია, როგორც ყველა ის მუხლები ბრალდებისა, რომელიც მას ჩამოთვლილი აქვს თავის მიმართვაში და ახლა კიდევ გამოქვეყნებულია „ტრუდ. ზნამია"-ში.

ჩვენი პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა ზემოთ მოყვანილი შინაარსის წერილი ჯერ კიდევ თოთხმეტ იანვარს გაუგზავნა ესერების საოლქო კომიტეტს. მათაც მიიღეს ეს წერილი, გახსნეს, წაიკითხეს და იმავე წერილზე დააწერეს: რადგანაც თერთმეტის მაგიერ თოთხმეტს მივიღეთ, ამიტომ უკანვე ვაბრუნებთ და ვაცხადებთ, რომ „ს. დ. პარტია სასამართლოს გაექცაო"

მკითხველი ადვილათ შეამჩნევს, რომ ეს არის უბრალო მომიზეზება და მეტი არაფერი. ს. დ. სასამართლოს არ გაურბის, მაგრამ ასეთ მოსამართლეთ ის ცნობს და აღიარებს მხოლოდ და მხოლოდ ინტერნაციონალს, რომელიც, რომც არ მიმართოს ვინმემ, ისედაც თვალ-ყურს ადევნებს სხვადასხვა სოციალისტური პარტიების მოქმედებას და თუ რომელიმე მათგანი აცდა სოციალისტურ პრინციპებს, მის წინაამდეგ მკაცრი განაჩენიც გამოაქვს.

თავის მეორე წერილში ესერების საოლქო კომიტეტი აცხადებს, რომ „ის თავისუფლათ სთვლის ამის შემდეგ თავის თავს ყველა იმ ამხანაგური სოციალისტური ვალდებულება-მოვალეობისაგან, რომელიც აკავშირებდა მას ს. დ. პარტიის ცენტ. კომიტეტთან". უნდა განვაცხადოთ, რომ მას შემდეგ, რაც ესერების საოლქო კომიტეტი ნაციონალისტური დროშით ყოველგვარი საშუალებით იბრძოდა და იბრძვის ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობის, და ჩვენი პარტიის წინააღმდეგ—ჩვენ შორის არავითარი დამოკიდებულება არ ყოფილა და ის ამდენხანსაც „თავისუფალი იყო"...

განი.

დამოუკიდებლობის აღიარების გამო

თფილისის მაზრის სოციალ დემოკრატიულ ორგანიზაციების ყრილობა სიხარულით აღნიშნავს საქართველოს საერთაშორისო ოჯახში შესვლის დადასტურებას. ყრილობა სალამს უძღვნის და გამარჯვებას ულოცავს ხელმძღვანელს ცენტრს.

ყრილობის თავმჯდომარის ამხ. ვლ. კაკაბაძე. მდივანი. გერონტი კილასონია.

დიდიჯიხაიშის გვარდიელები სიხარულით ეგებებიან საქართველოს დამოუკიდებლობის ცნობას. მუდამ მზად ვიქნებით დავიცვათ რევოლიუციის მონაპოვარნი.

რწმუნებული ჭილაძე.

თიანეთის მაზრის სახალხო გვარდია აღფრთოვანებული გილოცავთ საქართველოს დამოუკიდებლობის ფაქტიურად ცნობას. ვაშა ქართველი ერის [illegible] ნ. ჟორდანიას.

შტაბი.

ოზურგეთი. დიდი ზეიმით შეხვდა ოზურგეთი სანეტარო ცნობას. მოკავშირეთა უმაღლეს საბჭოს მიერ ჩვენი რესპუბლიკის დამოუკიდებლობის დადასტურებას. ელვის სისწრაფით მოედო ოზურგეთის და მთელს გურიას საგარეო საქმეთა სამინისტროს ცნობა. ყველა ჩვენი თავისუფლების და დამოუკიდებლობის მოტრფიალენი ზეიმს მიეცენ, ყველას სახეზე აღფრთოვანება და სიხარული გამოიხატებოდა. ერის ბედნიერებით და სიყვარულით გატაცებული მოქალაქენი ერთმანეთს ეხვეოდნენ, ბევრი ზედმეტი სიხარულისაგან ცრემლებს ღვრიდა. 12 იანვარს, საღამოს, როდესაც ცნობა მოვიდა, ადგილობრივ ინტერპარტიულ კლუბში თავი მოიყარა სამაზრო ერობის გამგეობამ, ქალაქის თვითმართველობამ, გვარდიის შტაბმა და პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლებმა. რადგანაც იმ საღამოს მანიფესტაციები აღარ ეწყობოდა, ადგილობრივმა საზოგადოებამ და ხსენებულმა ორგანიზაციებმა, კლუბში იზეიმეს. მეორე დღეს ე. ი. 13 იანვარს გაიმართა მიტინგი და გვარდიის, ჯარის და მილიციის პარადი. სრულს 12 ს. თავისუფლების მოედანზე გვარდიის ჯარს, მილიციას და ხალხს თავთავიანთი ადგილი ეჭირათ. ტრიბუნაზე ადის სამაზრო ერობის თავმჯდომარე [illegible]. მან პირველად მიულოცა მიტინგს დამოუკიდებლობის ცნობა, მისი ხმა ვაშას ძახილმა დაჰფარა. ამ დროს გვარდიის სადგომის სახურავიდან ზეიმის დაწყების ნიშნად ტყვიისმფრქვევლებიდან რამოდენიმეჯერ გაისროლეს. მეორე სიტყვას ამბობს დამფუძნებელი კრების წევრი, ოზურგეთის ქალაქის თავი გ. მურვანიძე, რომლის სიტყვებიც „ვაშა" და „გაუმარჯოს საქართველოს" ძახილმა დაჰფარა. ამის შემდეგ გაიმართა პარადი. პარადს ხელმძღვანელობდა გურიის გვარდიის და ოზურგეთის გარნიზონის უფროსი ივანე ცომაია. პარადზე უკრავდა ადგილობრივი სავაჟო გიმნაზიის ორკესტრი. პარადის შემდეგ მოხდა მანიფესტაციები უმთავრეს ქუჩებში და 2 საათზე ზეიმი დასრულდა. მთელს ქალაქს ამშვენებდენ ეროვნული და წითელი დროშები. ხალხის აღფრთოვანებას საზღვარი არ ჰქონია.

მონ-ბლანი.

დ. ტყიბული. 12 იანვარი ისტორიულ დღეთ უნდა ჩაითვალოს ქართველი ერის ცხოვრებაში. 13 იანვარს ტყიბუ-

დღეს

საზავო მოლაპარაკება ესტონეთსა და საბჭოთა რუსეთს შორის დამთავრდა. მთავარ საკითხებში შეთანხმება მოხდა.

ბოლშევიკების ცნობით რუსეთის ბოლშევიზმის წინააღმდეგ მებრძოლ ძალათ დარჩა მხოლოდ პოლონეთი.

სამხრეთ სლავიის მთავრობა უარყოფს იტალიის წინადადებას ადრიატიკის საკითხის მოწესრიგების შესახებ.

იტალიის ჩრდილოეთ და ცენტრალურ ნაწილში რკინისგზელთა გაფიცვაა.

ფრანგული პრესის ცნობით გაზეთები კმაყოფილნი არიან მილიერანის კაბინეტით

ლის მაღაროს მუშა მოსამსახურენი, დარაზმულნი ერთად, რომელთაც წინ მიუძღოდა წითელი დროშა, მუშათა ორკესტრი და რამოდენიმე გვარდიელნი თოფებით ხელში, გაეშურნენ ტყიბულის ბაზრისაკენ. პროცესიამ გაიარა ბაზარი და გაემართა სახალხო სახლში, სადაც შედგა მიტინგი. დაესწრო ექვს ათამდე მუშა მოსამსახურე. თავმჯდომარეთ არჩეულ იქნა ამხ. ბოკერიშვილი. მიტინგის გახსნისას მისასალმებელი სიტყვა წარმოსთქვა დამფუძნებელი კრების წევრმა ამხ. პ. ბერიშვილმა და მოხსენებაც გააკეთა საქართველოს წარსულ და დღევანდელ მდგომარეობაზედ. მან მოკლეთ მოგვითხრო ყველა ის უბედურება, რაც გამოიარა ქართველმა ერმა დღემდე და რას უნდა მოველოდეთ შემდეგში, თუ მჭიდროთ შეკავშირებულნი არ ვიქნებით მოსალოდნელი საფრთხის წინააღმდეგ საბრძოლველად. შემდეგ მიტინგს მიესალმენ ტყიბულის სოც.-დემ. ორგანიზაციის სახელით მ. ჯაფარიძე, მუშათა კავშირის სახელით დ. ხავთასი, ტყიბულის სახალხო გვარდიის სახელით ს. მეხუზლა. სოც. რევ. სახელით მ. ბოკერიშვილი და ტყიბულის მაღაროების ადმინისტრაციის სახელით ბ. ინე წულუკიძემ. მიტინგის სახელით გაეგზავნა მისალოცი დეპეშა მთავრობის თავმჯდომარეს დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმს და გვარდიის მთავარ შტაბს. **სიმონ მეხუზლა.**

ქ. ახალციხე. 12 იანვარს, დილის 2 საათი იქნებოდა გაისმა ზარების ხმა. ზარების მოულოდნელმა რეკამ ხალხი შეაშინა, ეგონათ, რაღაც უბედურება ეწვია ქალაქსო, მაგრამ მალე გამოირკვა: არა უბედურება, არამედ მეტად სასიხარულო ამბავი: მოკავშირეების მიერ საქართველოს და აზერბეიჯანის დამოუკიდებელ რესპუბლიკათ ცნობა. ეს ამბავი ელვის სისწრაფით მოედო მთელ ქალაქს. დაწესებულებებში მოსამსახურეებს გული არ უდგებოდა, ერთმანეთს ეხვეოდნენ, კოცნიდნენ და ულოცავდნენ სასიხარულო ამბავს.

ქუჩებში შეიქნა არაჩვეულებრივი მოძრაობა. ერობამ მაშინვე შეუკვეთა სტამბაში დაებეჭდათ დეპეშები და გაეკრათ ქუჩებში. საყდრებში გადაიხადეს სამადლობელი პარაკლისი.

საღამოს კლუბში ქალაქის თავმა ამცნო ხალხს: მოკავშირეების მიერ საქართველოს და აზერბეიჯანის ცნობა, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო. მან თავის სიტყვა დაამთავრა:—გაუმარჯოს დამოუკიდებელ საქართველოსო. გაისმა: ურა, ვაშა, მუსიკამ შეასრულა ეროვნული ჰიმნი.

13 იანვარს ქალაქი იღებს არაჩვეულებრივ სახეს. დილიდანვე დუქნები და სავაჭროები დაკეტილია. სახლები მორთულია ეროვნული დროშებით და ნოხებით. დაწესებულებებში მუშაობა შეწყვეტილია და ყველა სადღესასწაულოთ მორთულები ქუჩებში გამოდიან.

დილის 10 საათზე გამოდის შეიარაღებული ჯარი და გვარდია. წინ მუსიკა მიუძღვის, მერე ჯარის ხელმძღვანელები, მას მიჰყვება გვარდიის წითელი დროშა, დროშის შემდეგ—გვარდია და ჯარი. გაივლიან რამდენიმე ქუჩებს, მერმე მოვლენ ქალაქის ბაღთან და გამწკრივდებიან. აქ მოდის ქალაქის ამქრები, პროფესიონალური კავშირის მუშები, ქალაქის მოსამსახურეები და აუარებელი ხალხი.

საათის 12 გენერალი არჯევანიძე ესალმება ჯარს და ულოცავს სასიხარულო ცნობას. ისმის ურა, ვაშა, მუსიკა, ზარბაზნის ქუხილი და ზარების ხმა.

ერობის თავმჯდომარე მელიქიშვილი პირველი ადის ტრიბუნაზე, ხსნის კრებას და კითხულობს დეპეშას. ისევ გაისმის ურა, ვაშა და მუსიკა უკრავს მრავალჟამიერს.

გვარდიის სახელით ლაპარაკობს ამხ. ვ. ალიხანოვი, ის გრძნობიერი სიტყვით მიმართავს მოზღვავებულ საზოგადოებას, წაავლებს წითელ დროშას ხელს და ამბობს: აი ამ წითელი დროშის შრომის ნაყოფია დღევანდელი ზეიმიო. შემდეგ ლაპარაკობენ: დამფუძნებელი კრების წევრი ოსმან მიქელაძე (თათრულად), ქალაქის თავი ქართულ-სომხურად. ადგილობრივი ორგანიზაციის სახელით შინაარსიან სიტყვას ამბობს ამხ. ხელაძე, სოციალისტ ფედერალისტების სახელით—[illegible], დაშნაკელების წარმომადგენელი და მოქალაქე ახნაუროვი. **ქვაჟუდელი.**

ლეჩხუმი. 12 იანვარს, საღამოს რვა საათზე მოვიდა პირველი დეპეშა რუბენისაგან: „მომილოცავს, საქართველოს დამოუკიდებლობა ცნობილიაო“. ამ დეპეშას მოყვა ოფიციალური ხასიათის დეპეშებიც. არ გვეძინია, სიხარულ-სავზარში გავატარეთ მთელი ღამე. 13-ს დილით ადრე დეპეშებით და ტელეფონოგრამით ვაუწყეთ მთელ მაზრას სასიხარულო ამბავი. მოდის მილოცვები—მთელი მაზრა მხიარულობს.

დილით 10 ს. იმართება ერობის გამ. საზეიმო სხდომა ადგილობრივ ორგანიზაციათა მონაწილეობით. დადგენილ იქნა: 1) სამივე დეპეშა: რუბენის, შინაგან საქმეთა მინისტრის და დამფუძნებელ კრების თავმჯდომარის ჩაისვას საგანგებო ჩარჩოში და ჩამოეკიდოს ერობის დარბაზში; 2) მოეწყოს საზეიმო დემონსტრაცია.

12 საათისთვის აურებელი ხალხი იყრის თავს ერობის წინ დროშებით, ყველას სახეზე ღიმილია. ერობის თავმჯდომარე ა. მითაიშვილი მიესალმება მოქალაქეთ და ულოცავს ბედნიერ დღეს ერობისა და მთავრობის სახელით. დაიძრა მანიფესტაცია—ერობის გამგეობა, ადგილობრივი საზოგადო და სახელმწიფო ორგანიზაციათა წარმომადგენლები, გვარდია და მილიცია. მანიფესტანტები ბრუნდებიან მთელი შემადგენლობით გვარდიის ეზოში. აქ ერობის თავმჯდომარე ულოცავს გვარდიელებს ერობისა და სამაზრო სოც.-დემოკრატიული კომიტეტის სახელით და აღნიშნავს იმ დიად ღვაწლს ჩვენი სახელოვანი გვარდიისას, რაც მათ მიუძღვით ჩვენი დამოუკიდებლობის გამტკიცებაში. დასასრულ ტყვიისმფრქვევლის და თოფების სროლით ეცნო ახლო მდებარე სოფლებს ეს ზეიმი. ერობისაგან გაეგზავნა მთავრობას და დამფუძნებელ კრებას შესაფერი დეპეშები.

14 იანვარს (ძვ. სტ. ახალი წელი) ხალხი დღესასწაულობს. ცაგერის სობორო სავსეა მლოცველებით. წირვა გათავდა. საამურად ცვივა წვრილი ფიფქი თოვლი. ხალხი იყრის თავს დიდი ცაცხვის ქვეშ. ერობის თავმჯდომარე ულოცავს მოქალაქეთ დამოუკიდებლობის ცნობას, ამბობს რა იყო საქართველო, რა არის დღეს და რა უნდა იქნეს მომავალში; აფრთხილებს ურწმუნო თომებს და ჩვენი დამოუკიდებლობის ზოგიერთ მტრებს.—თუ აქ მდე არ გჯეროდათ, ამის შემდეგ ფრთხილათ! ი. ხონელიძე ესალმება კრებას ადგილობრივი გვარდიის შტაბის და ს. დ. კომიტეტის სახელით—ახსნის მოქალაქის უფლება-მოვალეობას. შემდეგ ულოცავს დამსწრეთ ს. ფ. სამაზრო ორგანიზაციის სახელით მაზრის სკოლების ინსტრუქტორი ვ. გელოვანი. ორთავეს გრძნობიერ მისალმებას მოქალაქენი მხურვალე ტაშით ხვდებიან.

კრება დიდი ნასიამოვნები დაიშალა: თქვენ ახალით გადაიხადეთ ახალი წელი ეს კაი ამბავი ალბათ ილოცით და დღეისთვის ძლივსა ჩვენ შემოგვინახეთო—მხიარულად ხუმრობდნენ. ხალხი დიდი იმედით შეჰყურებს ამ ამბავს და დაასკვნის: რახან სახელმწიფოთ გვცნეს, მომავალი უკეთესი იქნებაო, ასწილად განმტკიცდა მთავრობის და ჩვენი დემოკრატიის ძლიერება ლეჩხუმის მცხოვრებთა შორის, რომელნიც მუდამ შრომისა და მყუდრო ცხოვრების მოყვარული იყო და არის. **ა. მ—ლი**

სამტრედია. 13 იანვარს თვითმართველობის თაოსნობით ქალაქი გაიშვენიერებულ იქნა. ყველას ეტყობოდა სიხარული, ყველას სურდა გაეგო იმაზე მეტი, რაც იცოდა. დილიდანვე ხალხმა ნელ-ნელა იწყო სვლა ქალაქის მოედნისაკენ და დილის ათ საათამდე მოედანი გაივსო. აგერ მწყობრად, დროშებით გამოჩნდა სახალხო გვარდია, რომელსაც წინ ორკესტრი მიუძღოდა, გვარდიამ ადგილი დაიკავა შუა მოედნის პირდაპირ. ცოტა ხნის შემდეგ მას შეუერთდა დეპოს მუშები. კარგი სანახავი იყვნენ ისინი სამუშაო ტანისამოსში, სახე გაბრწყინებულნი და გახარებულნი.

უცქერი ამ ორ ბურჯს რევოლიუციისას და გული სიხარულით გევსება. აქ გრძნობ ადამიანი, რომ იმ კლასმა რომელმაც თვისი წიაღიდან წარმოშვა მეორე ძალა იარაღით ხელში თავისუფლების დასაცავათ, დღეს მას გვერდში უდგია და მხარს უმშვენებს.

მიტინგი სრულ 12 ს. გაიხსნა. საგანგებოთ მოწყობილ ესტრადაზედ ადის ქალაქის წარმომადგენელი ამხ. გიორგი დუნდუა და ხმა მაღლა კითხულობს დეპეშას უმაღლესი საბჭოს მიერ საქართველოს დამოუკიდებლობის ცნობის შესახებ. გაისმის განუწყვეტელი „ვაშა“ ძახილი,—ორკესტრი ასრულებს ეროვნულ ჰიმნს.

მოკლე სიტყვით ხალხს მიულოცეს ყველა ორგანიზაციის წარმომადგენლებმა, რომელთაც თავიანთ სიტყვებში აზრი გაატარეს, რომ ეს გამარჯვება შედეგია იმ სწორი და შორს მჭვრეტელი პოლიტიკის, რომელსაც აწარმოებდა ჩვენი დემოკრატია და აწარმოებს დღესაც.

მიტინგი ორ საათზე დამთავრდა, პროცესიამ მწყობრად გაიარა ყველა ქუჩები რევოლიუციონური სიმღერებით და სრულ ოთხ საათზე ნელ-ნელა დაიშალა ასეთივე ზეიმით შეხვდა ხალხი ამ ცნობას სამტრედიის ახლო-მახლო სოფლებში. **ა. მანუჯაშვილი.**

ლანჩხუთი. 12 იანვარს, 5 საათზე საღამოს ლანჩხუთში არაჩვეულებრივი, მოულოდნელი ხმა გაისმა,—საქართველოს დამოუკიდებლობა იცნესო. აქა იქ კანტი-კუნტად, ერთი მეორეს ხვდება ხალხი და უამბობენ ერთი ერთმანეთს საქართველო უკვე იცნეს უმაღლეს საბჭოს კონფერენციას დამოუკიდებლათო, ხალხი ქუჩაში გამოდის, ულოცავს ერთი მეორეს საქართველოს დამოუკიდებლობის აღიარებას. გაისმის ხალხში აღფრთოვანებული სიხარულის ხმა.

6 საათი შესრულდა მიუხედავათ იმისა რომ ღამეა, ხალხი მაინც საკმაოთ იყრის თავს ქუჩაში. მოისმის ხმა მუსიკის, მემუსიკენი მიეშურებიან ხალხისკენ, მათ წინ მიუძღვის ქალაქის თავი, შარაშენიძე, რომელიც გვარდიის შტაბთან სიტყვას უძღვნის გვარდიელებს და ულოცავს საქართველოს დამოუკიდებლობის ცნობას. ქალაქის თავის სიტყვას აღფრთოვანებული ხალხი ვაშას ძახილით ხვდება.

ხალხი გაემართა სადგურისაკენ, სადაც დახვდნენ მათ რკინის გზის მუშები. რკინის გზის პროფესიონალური კავშირის სახელით სიტყვა წარმოსთქვა, სად. უფროსის თანაშემწე სიმონ ცინცაძემ.

სახალხო გვარდიის სახელით სიტყვები წარმოსთქვეს მ. ჯიბლაძემ და პ. გოთუამ. გაეგზავნა მისალოცი დეპეშა მთავრობის თავმჯდომარეს. **ლ. ურუშაძე.**

დეპეშები

(საქართველოს დეპეშათა სააგენტო)

22 იანვარი.

ფრანგული პრესის ცნობები

გაზეთები სიამოვნებით აღნიშნავენ მილიერანის მიერ კაბინეტის შედგენას. საქმის მცოდნენი ამბობენ: მილიერანი როგორც შრომის მოყვარე და გამჭრიახი პატრიოტი ეროვნულ ამაღლების პოლიტიკას სოციალურ მშვიდობიანობაში გაატარებსო. კვირას მილიერანი აპირებს სტრასბურგში წასვლას, სადაც იგი გამოემშვიდობება ელზას ლორენლიზს, რომლებთანაც იგი უმაღლეს კომისრათ იყო

უმაღლეს საბჭოს სხდომაზე, სამშაბათ დილით, კლემანსოს თავმჯდომარეობით და მილიერანის თანდასწრებით საბოლოოდ განიხილეს დამნაშავეთა სია, რომელიც ედუარდ იგნასის კომისიამ წარმოადგინა. საკითხი იყო იმ გადაწყვეტილებათა მიღების შესახებ, რომელიც რამდენიმე ხნის წინათ ლონდონში იყო ჩამოყალიბებული სიაში არავითარი შემოკლება არ მოუხდენიათ. საფრანგეთისა და ბელგიის მიერ წარმოდგენილი სია სავსებით მიიღეს. მოკლე დროში უმაღლესი საბჭო ამ სიას გერმანიას გადასცემს. კლემანსო ლოიდ ჯორჯი და ნიტი სხვათა შორის მსჯელობდნენ მიმდინარე მომენტის საკითხზე, მათ შორის რუსეთის საკითხზედაც. საღამოს უმაღლესი საბჭო კვლავ შეიკრიბა კლემანსოს თავმჯდომარეობით, რათა საბოლოოთ გამოერკვია ადრიატიკის საკითხი. უმაღლესი საბჭო შეუერთდა ნიტის თვალსაზრისს და ბელგრადის მთავრობას მისცა ოთხი დღის ვადა, რომ მან ყოველგვარ შენიშვნების გარეშე მიიღოს შეთანხმების პროექტი.

ტურინიდან იუწყებიან რკინის გზელთა გაფიცვის შესახებ. ეს გაფიცვა თითქმის საერთოა იტალიის ჩრდილოეთ და ცენტრალურ ნაწილში. გაფიცვა არ შეხებია სამხრეთ იტალიას. იტალიის კათოლიკურმა ორგანიზაციებმა უარი განაცხადეს გაფიცვაზე. ამ გარემოებამ და ჯარის დახმარებამ საშუალება მისცა მთავრობას უმთავრეს ხაზებზე რამდენიმე მატარებლის ამოძრავებისა. მთავრობამ სასტიკი ზომები მიიღო. დიდ ქალაქებში საალყო წესებია გამოცხადებული. აკრძალულია ავტომობილებითა და მოტოციკლეტებით სიარული. სასტიკი ბრძანებაა გაცემული საბოტაჟის მოსასპობათ. დეპუტატთა პალატამ იქონია მსჯელობა ამის შესახებ და გადაწყვიტა მხარი დაუჭიროს მთავრობას მის მოქმედებაში.

სამშაბათ საღამოს კლემანსო ლოიდ ჯორჯი ნიტისა და სხვა წევრებთან ერთად უკანასკნელად ღებულობდა მონაწილეობას უმაღლეს საბჭოს სხდომაში. ლოიდ ჯორჯმა, ნიტიმ, მატსუიმ და უოლესმა გრძნობიერი გამოსამშვიდობებელი სიტყვები უთხრეს საზავო კონფერენციის თავმჯდომარეს, რომელიც დღეიდან თავის რწმუნებულების უფლებას კარგავს. ლოიდ ჯორჯმა სთქვა: მე ბედნიერად ვსთვლი ჩემ თავს, რომ შეძლება მომეცა თქვენთან ერთად რამდენიმე თვის განმავლობაში მეთანამშრომლაო. კლემანსომ საფრანგეთის მთავრობის სახელით მადლობა გადაუხადა მათ იმ პატივისცემისათვის, რომელიც მათ გამოსთქვეს საფრანგეთისადმი.

სამშაბათს უმაღლესი საბჭო გაეცნო სამხრეთ სლავიის მთავრობის პასუხს, რომელიც უარყოფს იტალიის წინადადებას ადრიატიკის საკითხის მოწესრიგების შესახებ. კლემანსომ და ლოიდ ჯორჯმა პაშიჩსა და ტრუმბიჩს აუხსნეს, რომ სამხრეთ სლავიის მთავრობამ უნდა მიიღოს იტალიის მიერ წარმოდგენილი შეთანხმების 3 [illegible] და საბოლოო პასუხი მისცეს მათ 24 იანვრისთვის. ნიტი პარიზიდან რომს გაემგზავრება სამშაბათ საღამოს, ლოიდ ჯორჯი ლონდონს გაემგზავრება ოთხშაბათ დილით.

ორშაბათიდან უმაღლეს საბჭოს შეცვლის მოკავშირეთა პარიზში მყოფი ელჩების კონფერენცია. საფრანგეთის წარმომადგენლად იქნება გარეშე საქმეთა სამინისტროს მთავარი მდივანი პალეოლოგი.

ბოლშევიკური ცნობები

მოსკოვი, იანვ. 21. ლიონი, იანვ. 19 ბოლშევიზმის წინააღმდეგ მებრძოლ ძალებად დარჩა თითქმის მარტო პოლონეთი. ის მოუთმენლად მოელის პარიზიდან ინსტრუქციებს იმ პოლიტიკური გზის შესახებ, რომელზედაც მოკავშირენი აპირებენ ცდას ახლო მომავალში. მოკავშირეთაგან ბლოკადის მოხსნამდე პოლონეთი შიშით მოელოდა საბჭოთა რუსეთის თავდასხმას, ვინაიდან ფიქრობდა, რომ რუსეთი ამ მიზნისთვის ისარგებლებდა იმ ჯარით და იარაღით, რომელიც დენიკინის განსრესის შემდეგ საბჭოთა რუსეთს დარჩა. პოლონეთის მთავარ შტაბს ძლიერ აფიქრებდა ის გარემოება, რომ დენიკინის ჯარს ჩვენ წავართვით დიდძალი იარაღი, ტყვიისმფრქვეველები, ტანკები, აეროპლანები და სხვა სამხედრო ქონება. აგრეთვე გენ. პილსუცკის კარგათ აქვს გათვალისწინებული ის საფრთხე, რომელიც შეიძლება თავს დაატყდეს საბჭოთა რუსეთში რკალივით შეზნექილ პოლონეთის ფრონტს ბოლშევიკების თავდასხმისაგან.

გეგმა პოლონეთის მთავარი შტაბისა, რომლის მიხედვით მომავალ გაზაფხულზე პოლონეთის ჯარს უნდა დაეწყო იერიში მოსკოვისა და პეტროგრადის მიმართულებით უკვე უარყოფილია. მას შემდეგ, რაკი მოკავშირეთა საბჭოთა რუსეთს საზღვაო ალყა მოხსნა. თავის დროზე ლატვიამაც აღუთქვა პოლონეთს რუსეთთან ბრძოლაში თავის ჯარებით დახმარება. აღუთქვა აგრეთვე ქ. რიგის საზღვაო ბაზათ დათმობა პოლონეთისათვის. ფიქრობდა ის უკანასკნელი ოპერაციებს დაეწყებდა პეტროგრადის წინააღმდეგ. ახლა ლატვიამ თავისი აღთქმა უკანვე წაიღო. პარიზში მყოფ პოლონეთის დელეგატებს წინადადება მიეცა გამოარკვიონ დიდ სახელმწიფოთა პოლიტიკა ბოლშევიკების მიმართ და სთხოვონ მოკავშირეებს, რომ საზღვაო ალყის მოხსნის დროს მხედველობაში იქონიონ და მოითხოვონ წითელი ჯარის მიერ სამხედრო მოქმედებათა შეწყვეტა.

იურიევი. იანვ. 20. სამშვიდობო ხელშეკრულება ესტონიასთან თითქმის დამთავრებულად შეიძლება ჩაითვალოს. დარჩა რამოდენიმე სადავო კითხვა, რომელთა შესახებაც მალე შეთანხმება იქნება მიღწეული.

მოსკოვი. იანვ 20. თავდაცვის საბჭომ მრავალი დეპეშები მიიღო შესახებ პირველი „შრომის არმიის“ მოწყობისა. შრომის არმიის პოლიტიკურ ხელმძღვანელთა კრებამ რეზოლიუცია მიიღო, რომელშიაც, სხვათა შორის, სწერია: „ჩვენ რაინდნი პატიოსანი შრომისა ფიცს ვსდებთ მთელი ჩვენი ძალღონე შევსწიროთ ჩვენი ქვეყნის ეკონომიურ აღორძინების წმინდა საქმეს“. აღმოსავლეთ ფრონტის მესამე არმიის ჯარისკაცნი დიდს აღტაცებას გამოსთქვამენ იმის გამო, რომ მათ ეწოდა საპატიო სახელი „პირველი შრომის არმია“.

მოსკოვი, იანვ. 21. საზღვაო ალყის მოხსნის შემდეგ გაზეთი „პრავდა“ თავის მოწინავეში სწერს: იმისათვის, რომ ჩვენ მივიღოთ ევროპიდან ჩვენთვის საჭირო საგნები, საჭიროა აგრეთვე დამზადებული გვქონდეს ევროპისათვის ნაცვლად მისაცემი საქონელი. გარდა ამისა, ჩვენ უნდა აღვადგინოთ ტრანსპორტი, რათა შევძლოთ გასატანი საქონლის გატანა და შემოსატანის ჩვენში მოტანა. ამ გვარად, ჩვენს წინაშე ახალისა და განსაკუთრებულის დაჟინებით წარმოსდგა ძველი ნაცნობი კითხვები: „სახელდობა, საკითხი საქონლის დამზადებისა და ტრანსპორტისა“.

მოსკოვი, 21 იანვ. გაზეთი „ეკონომიური ცხოვრება“ სწერს: ნახშირის მაღაროები დონეცის მხარისა ჩვენ ჩავიბარეთ უკეთეს პირობებში, ვიდრე ეს მოსალოდნელი იყო. მაღაროების უმეტეს ნაწილში მუშაობა სწარმოებს და თვიურად 25,000,000 ფუთ ნახშირს იძლევა.

მოსკოვი, იანვ. 21. საძირკველი ჩაეყარა გერცენისა და ოგარევის ძეგლს. რამოდენიმე ქუჩას დაერქვა გერცენისა და მისი მეგობრების სახელი.

მოსკოვი. იან. 21. სამხედრო ცნობები. რეჩიცის რაიონში სასტიკი ომი გრძელდება. მოზირის რაიონში ომი სწარმოებს. სადგ. ტიჩის აღმოსავლეთით. კამენეც-პოდოლსკის მიმართულებით მზვერავთა მოქმედებაა. ელიზავეტგრადის აღმოსავლეთით 10 ვერსის მანძილზე სასტიკი ომი სწარმოებს. ხერსონის მიმართულებით ჩვენი ჯარი იბრძვის 30 ვერსზე კრივოი როგის სამხრეთით. ჩვენი ჯარი 25 ვერსზე მიუახლოვდა ქ. პერეკოპს. ჩვენმა ჯარმა აიღო ქ. გენიჩესკი. როსტოვის რაიონში ჩვენი ჯარი დონის მარცხენა ნაპირზე ბატაისკსა და ოლგინსკაიასთან იბრძვის. ნოვოჩერკასკის რაიონში ჩვენ ავიღეთ მთელი რიგი სოფლებისა ბოგაევსკაია ზოლოტოვსკაია ხაზზე და განვაგრძობთ წინ სვლას. ველიკო-კნიაჟესკაიას მიმართულებით სასტიკი და ცვალებადი ომი სწარმოებს სტანიცა კარგალსკაიას მიდამოებში. ტიხორეცკაიას მიმართულებით ჩვენი ჯარი სადგ. ზიმოვნიკას მიუახლოვდა. ყიზლიარის მიმართულებით ჩვენი ჯარი ამ ქალაქის მიდამოებში იბრძვის.

ნაუენი. იან 20. ლონდონის გაზეთი „დეილი ქრონიკლი“ სწერს: „ჩვენ გვსურს ბოლშევიკებთან ბრძოლა განაპირა ქვეყნებს დავაკისროთ. თუ ჩვენ ვერ შევსძელით ბოლშევიზმის დამხობა ფრანგი და ინგლისელი ჯარისკაცების საშუალებით, რა უფლება გვაქვს ეს მოვთხოვოთ განაპირა ქვეყნების ჯარებს. ისინი განსაკუთრებით მიისწრაფვიან ზავისაკენ და ჩვენი უპირველესი მოვალეობაა მივანიჭოთ მათ მშვიდობიანი ცხოვრება“.

ახალი ამბები

დღეს, საღამოს 6 ს. შესდგება ს. ს. დ. მ. პ. ცენტრალური კომიტეტის სხდომა. (კრუზენშტერნის ქ. № 4).

◆ **„ჰორონის“ დაბრუნება.** 21 იანვარს გზათა დეპარტამენტის დირექტორმა ფოთის ნავთსადგურის უფროს ანდრონიკაშვილისაგან შემდეგი დეპეშა მიიღო: გემი „ჰორონი“ ბარჟით, 4 ცხენით, მთელი ინვენტარით და ზედ მყოფ 5 მოსამსახურით ბათუმში დაბრუნდა. გემის ჩასაბარებლათ ბათუმში ვგზავნით „ჰორონის“ კომანდირს.

◆ **გრ. ჩალხუშიანის გაძევება.** შინაგან საქმეთა მინისტრის განკარგულებით როსტოვიდან ჩამოსულ გრ. ჩალხუშიანს წინადადება მიეცა 24 საათში გავიდეს რესპუბლიკის საზღვრებიდან.

◆ **შინამრეწველობისათვის** მთავრობამ დამატებითი კრედიტის სახით შინამრეწველობის გაუმჯობესების განყოფილებას მისცა 5,200,000 მანეთი, კომიტეტი აპირებს მუშაობის გაფართოებას. 23 იანვარს შესდგება თათბირი მომავალი მოქმედების გეგმის შესამუშავებლად.

◆ **უმაღლესი საბჭოს** მიერ საქართველოს და აზერბეიჯანის აღიარების ცნობა მიიღეს საფრანგეთის და იტალიის სამხედრო მისიების უფროსებმა თავიანთ მთავრობებისაგან იანვრის 18, რაც მათ წერილობით აცნობეს ჩვენს საგარეო საქმეთა მინისტრს ევ. გეგეჭკორს.

◆ **შრომის კომისარმა** ელბაქიანმა წინადადება მისცა ზარგარიანცის ტყავეულობის ქარხნის ადმინისტრაციას, რათა მან სისწორით დაიცვას შრომის დაცვის კანონები და მოსამსახურეთ აძლიოს ხელფასი სატარიფო პალატის მიერ შემუშავებულ ტარიფების მიხედვით. წინააღმდეგ შემთხვევაში ის პასუხისგებაში იქნება მიცემული.

◆ **დავით კლდიაშვილის საიუბილეო** კომისიის სხდომა დანიშნულია პარასკევს 23 იანვარს, საღამოს 6 საათისთვის მწერალთა კლუბ „ქიმერიონში“. სხვა საკითხებთან ერთად ამ სხდომაზე განხილულ იქნება დრო და წესი თფილისის რაიონების თეატრსა და კლუბებში დავით კლდიაშვილის საპატივცემულო საღამოების გამართვისა.

◆ **ყრილობა.** 25 იანვარს თფილისში გაიხსნება რესპუბლიკის საკრედიტო დაწესებულებათა წარმომადგენლების ყრილობა. დღის წესრიგი: 1) საქართველოს პასუხის მგებელ მოხელეთა არტელის წარმომადგენლის მოხსენება არტელის საქმეების შესახებ. 2) საქართველოს ცენტრალური სავაჭრო სამრეწველო ბანკის ორგანიზაცია. 3) მიმდინარე საკითხები.

◆ **პროფესიონალურ კავშირთა საბჭოს კრება.** შესდგება დღეს. განსახილველია: 1) შრომის ბირჟის საკითხის საბოლოო განხილვა. 2) საექსპორტო კომისიის დასკვნა ართვინში და ქართულ სატრანსპორტო საეკონომიო საზოგადოებაში საქმიან მუშაობის გატარების შესახებ. 3) მიმდინარე საკითხები.

◆ **ავლაბრის რაიონის ს. დ. მ. პ.** წევრების საყურადღებოთ. ს. დ. მ. პ. მე-3 რაიონის კოლექტივი [illegible] წევრთ, რომ კვირას, 25 იანვარს, საღამოს 4 ს. დანიშნულია საზოგადო კრება. თითოეული პარტიის წევრი ავლაბრის რაიონისა ვალდებულია დაესწროს კრებას და თან იქონიოს პარტიული წიგნაკი. კრების მიზანი: განხილვა კოლექტივის იდეიურ-ფინანსიური ანგარიშებისა, კოლექტივის რეორგანიზაცია, არჩევა სარევიზიო კომისიისა და სხვა.

◆ **დღეს, 23 იანვარს,** საღამოს 5 ს. მუშტაიდის დემოკრატიულ კლუბში დანიშნულია შეერთებული საზოგადო სხდომა პირველ და მეორე რაიონებისა. ამხ. ევ. გეგეჭკორი გააკეთებს მოხსენებას თანამედროვე მომენტზე. მოხსენება წაკითხული იქნება ქართულ ენაზე.

◆ **სავათმყოფო კასაში.** ქალაქის საერთო სავათმყოფო კასას 1 იანვრიდან მიეწერენ შემდეგი დაწესებულებათა მოსამსახურენი: ელექტრონის სადგურების მუშა-მოსამსახურენი: „ძალა“, „ფოფერა“, პირველი და მეორე „მადათოვის“, აფციერთა ეკონომიური საზოგადოება: „ყორღანოვის“, „კირაკოზოვის“, „კულონი“, დიდუბის სადგური, „მოტორი“, არტისტიულ საზოგადოების, „ამპერი“, ალიხანოვისა და ალამოვის. აბანოების: ორბელიანის, [illegible], წოვიანოვის, ფანტაზია, ერეკლეს, ბებუთოვების, არგუთინსკის და აბრამაშვილის. სხვები სახელოსნოები: მალჯიანის, პეტროსოვის, კარაპეტიანის, თუმანიანის, საზოგადოება „მელიუ“ მალაყის საწყობი ხიტაროვისა.

◆ **ქარხნებისა და საწყობების გასახსნელად.** ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტრომ შეიმუშავა წესი ქარხნებისა და საწყობების გასახსნელ ნებართვისა.

◆ **თამბაქოს ქარხნების დამთვალიერებელი კომისია.** ამ კომისიამ, რომელსაც მინდობილი ქონდა თამბაქოს ქარხნების დათვალიერება, რომ გამოერკვია, თუ რამდენათ უზრუნველყოფილია ისინი ცეცხლისაგან, უკვე დაამთავრა თავისი მუშაობა.

◆ **ა. ხატისოვის გამგზავრება.** გუშინ სომხეთის მთავრობის თავმჯდომარე ა. ხატისოვი ერევანში გაემგზავრა.

◆ **სახალხო გვარდიაში.** სახალხო გვარდიის მთავარმა შტაბმა დაადგინა 1 იანვრიდან მოახდინოს ვრცელი ნაციონალიზაცია.

— სახალხო გვარდიის მთავარ შტაბს განზრახვა აქვს აბასთუმანში გახსნას სანატორიუმი 50 კაცისათვის.

◆ **„ეშმაკის მათრახის“** რედაქცია დაბინავდა რუსთაველის პროსპექტზე № 24, სადაც „ერთობის“ რედაქცია იყო, ამიერიდან ფული და წერილები უნდა გამოიგზავნოს შემდეგი მისამართით: თფილისი, რუსთაველის პროსპექტი, № 24—„მათრახისათვის“.

◆ **ლექცია.** შაბათს, იანვრის 24-ს, საღამოს 6 ს. კაპიტანი ალ. გორგაძე წაიკითხავს ლექციას გეოგრაფიიდან „კახეთი“ ჯავშნოსან მატარებლებზე.

◆ **შეცდომის გასწორება.** განის გუშინდელ წერილში შეცდომით დაიბეჭდილია: „ყველა ძველ საბეგრებში მას უწერია“. უნდა იყოს: ყველა ძველ საბუთებში მას უწერია.

კრებები.

23 იანვარს, საღამოს 6 ს. მეორე რაიონის ბინაზე დანიშნულია მეორე რაიონის ს. დ. ქალთა კოლექტივის მორიგი კრება.

— დღეს, საღამოს 7 ს. მოხდება ჩუღურეთის მცირე კოლექტივის წევრთა არაჩვეულებრივი კრება (19 თებერვლის ქუჩაზე, სახლი № 9).

— კვირას, 25 იანვარს, დილის 10 ს. სააქციზო სამმართველოს შენობაში (სასამართლოს ქ. № 50) დანიშნულია საქართველოს რესპუბლიკის სააქციზო უწყების მოხელეთა საზოგადო კრება.

— კვირას, 25 იანვარს, დილის 10 ს. ერობათა კომიტეტის ბინაზე შესდგება კავშირის კომიტეტის სხდომა.

პროვინციის ქრონიკა

ლეჩხუმის ერობამ მაზრაში არსებულ ყველა სკოლებს გამოუწერა მიმდინარე წლის საბავშვო ჟურნალი „ნაკადული“.

ამიერ-კავ. რესპ. საგარეო საქმეთა მინისტრების თათბირი

თათბირს დაესწრნენ: აზერბეიჯანის საგარეო საქმეთა მინისტრი ფ. ხან-ხოისკი, სომხეთიდან ა. ი. ხატისოვი, საქართველოდან ე. პ. გეგეჭკორი. თათბირმა გამოიმუშავა შემდეგი დებულებანი, რომელთა ცხოვრებაში გატარება დაევალა თათბირში მონაწილეთ.

1) კიდევ ვადასტურებთ, რომ ყოველგვარი დავა რესპუბლიკათა შორის უნდა სწყდებოდეს არა იარაღით, არამედ—შეთანხმებისა და არბიტრაჟის გზით და რომ სამივე მთავრობამ ენერგიული

ზომები უნდა იხმაროს ამ გადაწყვეტილების ცხოვრებაში განსახორციელებლად და ყოველგვარი ზომა მიიღოს ამ მიმართულებით.

2) კავკასიის სამივე რესპუბლიკის დამოუკიდებლობის იდეა მოითხოვს კიდევ განვაცხადოთ, რომ სამივე რესპუბლიკა თავის დამოუკიდებლობას დაიცავს ყოველგვარ თავდასხმისაგან და თავის სუვერენულ უფლებათა დასაცავ ბრძოლაში ისინი ერთი მეორეს ყოველ მხრით დაეხმარებიან.

3) გამორკვეულია, რომ კავკასიის სამივე რესპუბლიკის საარსებო ინტერესები უკარნახებს მათ უფრო მჭიდრო კავშირს მათ შორის შესაძლებელ გაუგებრობათა თავიდან ასაცილებლად და საერთო ზომების შესათანხმებლად. ამის გამო თათბირს აუცილებლად მიაჩნია სამივე მთავრობის დელეგაციის მუდმივი და რეგულიარული სესიების მოწყობა წინასწარ დანიშნულ დროს სამი რესპუბლიკის სატახტო ქალაქებში მორიგეობით.

დემოკრატიის ეკონომიური პოლიტიკა

IV

ჩვენი ქვეყნის ეკონომიური მდგომარეობა ნათელი შეიქნა დღიდან დამოუკიდებლობის გამოცხადებისა; რუსეთიდან ჩამოშორებამ, რომელთანაც ჩვენ პოლიტიკური და ეკონომიური ძაფებით ვიყავით დაკავშირებულნი, ჩვენ საკუთარ ეკონომიურ ძალებზე მიგვაგდო, ჩვენი ავლა-დიდების ამარა დაგვტოვა; ამასთანავე აღერბეიჯანის და სომხეთის გაცალკევებამაც, როგორც პოლიტიკურათ, ისე ეკონომიურათ ერთ ხანს სრულიად გაგვამარტოვა; ამიტომაც საჭირო შეიქნა, როგორც პოლიტიკურათ, ისე ეკონომიურათაც მხოლოდ თავის თავზე დაყრდნობა. ასეთმა ჩვენმა მდგომარეობამ გამოაშკარავა და დაგვანახვა ჩვენი ეკონომიური სიხამდვილე.

შავ-ბნელ წარსულში, როდესაც ჩვენ რუსეთის განუყოფელ ნაწილს წარმოვადგენდით, თვითმპყრობელი მთავრობა წარმოების განვითარებას ჩვენში, როგორც განაპირა და დამონავებულ ქვეყანაში, ყოველნაირათ აბრკოლებდა. ამ გზით ის პოლიტიკურ დამოკიდებულობის მონურ ჯაჭვს რუსეთზე ეკონომიურათაც მიჯაჭვით ამაგრებდა. პური, ფართალი და სხვა საჭირო საფაბრიკო საქონელი რუსეთიდან შემოდიოდა.

ამიტომაც ჩვენი ქალაქები უმთავრესათ სავაჭრო ცენტრებათ იყვნენ გადაქცეულნი; ხოლო სოფელი კი მევენახეობის, მეხილეობის, მეთამბაქოების, მებოსტნეობის და სხვა მაღალ კულტურას მისდევდა, რადგანაც რუსეთის იაფი პური ამის საშვალებას იძლეოდა.

ბოლშევიკური გადატრიალებისა გამო ჩვენმა დამოუკიდებლობამ მოსპო იაფი პურიც, ფართლეულობაც და სხვა საჭირო ფაბრიკატების შემოტანა, რამაც გამოიწვია ხანგრძლივი სასურსათო კრიზისი, საზღაპრო სიძვირე და უზომო სპეკულიაცია როგორც მთელ რუსეთში, ისე ჩვენშიაც.

ამ გარემოებამ უფრო გაზარდა და გაამწვავა საერთო პირობებისაგან გამოწვეული ეკონომიურ-ფინანსიური კრიზისი; ომისაგან შექმნილ საერთო პირობებთან ერთად ჩვენი ქვეყნის სპეციფიურმა, ეკონომიურმა სიდუხჭირემ და საწარმოვო ძალების განუვითარებლობამ უფრო გაღრმავა და აიჩქარა ის ეკონომიურ-ფინანსიური კრიზისი, რომელიც ყველაზე უფრო საშიში მტერია ჩვენი დამოუკიდებლობის.

გაჯაჯახებულ ეკონომიურ პირობებში ჩავარდნილ ჩვენს დემოკრატიას სიტიტვლესთან ერთად მეფე-სიმშილის აჩრდილიც თავს დასტრიალებს; მდგომარეობა თანდათან აუტანელი ხდება.

ასეთ პირობებში, ასეთ საბედისწერო მომენტში დემოკრატიამ უნდა მოიკრიბოს მთელი თავისი ძალღონე, მობილიზაცია გაუკეთოს ყველა თავის ძალებს და დემოკრატიულ პოლიტიკასთან ერთათ მტკიცე და შეურყეველი ეკონომიური პოლიტიკაც აწარმოვოს; როგორც პოლიტიკაში, ისე ეკონომიკაში მერყეობა და მიზან შეუწონელი ექსპერიმენტები დაუშვებელია...

დემოკრატიას უპირველეს ყოვლისა პური, ტანსაცმელი და ბინა ესაჭიროება; ამიტომაც დემოკრატიის მმართველობის მთავარი საზრუნავი ხალხის ამ მთავარი მოთხოვნილებების დაკმაყოფილება უნდა იყვეს.

საქართველოს დემოკრატიას თავისი პური უნდა ჰქონდეს; გარედან შემოტანილი პურის იმედით დარჩენა მას არ შეუძლია, რადგანაც ვინ იცის მომავალი რას გვიმზადებს; როგორც ამ ჟამათ დავრჩით უპუროთ, ისე მომავალშიც შესაძლებელია მისი გარედან შემოტანა გასჭირდეს, რაც იმავე განსაჭირში ჩააგდებს ჩვენ ხალხს, რომელსაც ის ახლა განიცდის.

აქედან აშკარაა, რომ მთავრობის და ყველა თვითმართველი ორგანიზაციების ყურადღება უპირველეს ყოვლისა სოფლის მეურნეობისაკენ, კერძოთ პურის მოყვანისაკენ უნდა იქნეს მიქცეული.

ჩვენი ქვეყანა ჯერ-ჯერობით სოფლის მეურნეობის ქვეყანას წარმოადგენს; მისი ცხოვრების უმთავრეს წყაროს ეს მეურნეობა ჰქმნის და ამიტომაც პირველ ყოვლისა ამ მეურნეობის გაუმჯობესებაა საჭირო. მამა პაპეული გუთნის ნაცვლათ სახნავ-სათესი მანქანები და სხვა გაუმჯობესებული იარაღები უნდა იქნეს შემოღებული პირველ შესაძლებლობისთანავე გავრცელებული. გარეცხილი და გამოფიტული მიწების გაპოხიერებასაც უნდა მიექცეს სათანადო ყურადღება; როგორც სივრცით, ისე კულტურულათ რაც შეიძლება მეტი მიწა უნდა იქნას დამუშავებული და სხვა.

დიდი ყურადღება უნდა მიექცეს, როგორც მთავრობისაგან, ისე თვითმართველობებისაგან მიწის ორგანიზაციულათ დამუშავებას; ამ მხრივ მეტათ საყურადღებო მოვლენას წარმოადგენს თბილისის გვერდით მიერ ყარაიაზის ვრცელი მინდორის დამუშავება. რესპუბლიკის მხნეილს და ერთგულ დარაჯს გვარდიას უნდა, რომ დემოკრატიული სამშობლო სიმშილისაგან დაიცვას; ამ მიზნით გვარდიის მთავარი შტაბისაგან ყველა საოლქო შტაბებს ეგზავნებათ ინსტრუქცია, მათაც მთელი თავისი ძალებით თავისუფალი სახელმწიფო მიწები დაამუშაონ. ამ მხრივ ჯარსაც შეუძლია. გვარდიას მიჰბაძოს მაშინ შეიარაღებული თავდამცველი დემოკრატია ორგანიზაციული საერთო სავალდებულო შრომის თანდათანი განხორციელებით ეკონომიურათაც შეიძლებს თავდაცვას და თავისი არსებობის უზრუნველყოფას.

გვარდიის და ჯარის შრომის სხვადასხვა დარგში ჩაბმით და მათი სამუშაო ძალის სისტემატიურათ გამოყენებით დემოკრატიული სახელმწიფო მტკიცე საფუძველს ჰყრის ორგანიზაციული სავალდებულო შრომის შემოსვლებათ, რაც სრულიად ახალ მოვლენას წარმოადგენს ჩვენი რესპუბლიკის ცხოვრებაში. თავისი შრომის ნაყოფით პირველ ყოვლისა ყველაფრით უზრუნველყოფილი იქნებიან ახალ ნიადაგზე, ერთ სამილიციო სისტემაზე აგებული გაერთიანებული ჯარი და გვარდია, რომელიც ერთ მებრძოლთა და მშრომელთა არმიათ გადიქცევიან; მაშინ მშრომელთა და მებრძოლთა რაზმებში ყოფნა ყველასათვის მისაზიდი შეიქმნება, რაც ეკონომიურათაც და მაშასადამე პოლიტიკურათაც გააძლიერებს ჩვენს რესპუბლიკას.

ასეთ პირობებში საბრძოლო საქმეზე დახარჯული მილიონები სახელმწიფოსაგან ნაყოფიერათ იქნებიან განაწილებულნი; სამხედრო რაზმების მშრომელთა რაზმებთან გაერთიანებით და როგორც სოფლის მეურნეობაში, ისე მრეწველობის სხვადასხვა დარგში ამ გზით შრომის განაყოფიერებით რესპუბლიკა შეურყეველ საფუძველზე დადგება.

დემოკრატიული სახელმწიფო ყველა ტრესტებზე და სინდიკატებზე უფრო მძლავრი ორგანიზაციაა და თუ ის მთელ თავის ძალებს სახალხო მეურნეობაში აამოქმედებს, ის ამ გზით უფრო სწრაფათ და ადვილათ დააგროვებს საჭირო სახალხო სიმდიდრეს, რითაც ყოველნაირათ უზრუნველყოფს დემოკრატიას.

დემოკრატიულ მთავრობას მაშინ შეუძლია გამტკიცება, უკეთუ ხაზინაში აურიცხელი ქაღალდის ფულის ნაცვლათ, სახელმწიფო საწყობებში მრავალი პური და სხვა სანოვაგე ექნება დამზადებული, რაც მას სამხედრო და სხვა სამუშაო ძალების შრომის გამოყენებით შეუძლია.

დემოკრატიულ მთავრობასთან ერთად ამ მხრივ ბევრის გაკეთება შეუძლიათ თვითმართველობებს და ერობებს, რომელთა მუშაობა ყოველნაირათ შეთანხმებული უნდა იყვეს მთავრობის ეკონომიურ პოლიტიკასთან.

ი. ირემაშვილი.

(გაგრძელება იქნება).

წერილები ბათუმიდან

პროფესიონალურ კავშირთა საბჭოში.

ოთხი თვის სიჩუმის შემდეგ 3 იანვარს შესდგა პირველი საერთო კრება პროფ. კავშირთა საბჭოსი. განსახილველი იყო კითხვები: 1) მოხსენება მცირე საბჭოსი მოქმედების შესახებ, 2) სარევიზიო კომისიის წევრის და ხაზინადრის არჩევნები, 3) საგამომძიებლო კომისიის მოხსენება არტელების შესახებ.

პირველ კითხვის შესახებ მოკლე მოხსენებას აკეთებს მ. მარკმანი. მოხსენებიდან ირკვევა, რომ საანგარიშო დროს განმავლობაში ბევრი არაფერი გაკეთებულა. მოუწყვიათ სამი ეკონომიური გაფიცვა, რომელთაგან ორი მუშათა სრული გამარჯვებით დამთავრებულა. საბჭოს შუამდგომლობის თანახმად ადგილობრივ მთავრობას აუკრძალავს ლოტოს თამაშობა, რაც დიდათ იყო გავრცელებული ქალაქში. საბჭოს მეცადინეობით სამჯერ გაუდიდებიათ ჯამაგირები და ხელფასი: ორჯერ 100—100 პროც. და ერთხელ 50 პროცენტით. განზრახვა აქვთ მოაწყონ სახალხო თეატრი, რისთვისაც უთხოვიათ მთავრობისათვის, რომ არ მიეცათ ნება რკინის თეატრის სხვა რამეთ გადაკეთებისა (წინეთ შიგ ლოტოს თამაშობდენ), რომ ქალაქი სავსებით უთეატროთ არ დარჩენილიყო. კრების მოწვევის დაგვიანების მიზეზი ყოფილა საალყო წესები, რომლის ძალითაც აკრძალულია ყოველგვარი თავყრილობა. საბჭო დღე დღეზე ელოდა საალყო წესების მოხსნას. კრების მოწვევის ნებართვის თხოვნას კი გაურბოდა, როგორც თავისთავის დამამცირებელს. დღეს მაინც იძულებული ვიყავით ნებართვა გვეთხოვა, დაასკვნა მომხსენებელმა.

მოხსენების შესახებ იმართება კამათი. ამხ. ა. წულაძე მოხსენებას არ აკმაყოფილებს და ამბობს, რომ საბჭოს შესაძლებლობის ფარგლებში იმდენი ვერაფერი გაუკეთებია, რამდენის გაკეთებაც დღევანდელ პირობებში შეიძლებოდა. მარტო ჯამაგირების მომატება მუშათა მდგომარეობას ვერ გამოაკეთებს. საჭიროა უფრო რეალური ზომების მიღება. სასურსათო კითხვა მეტად მძიმეთ გვიდგას ბათუმელებს. არც თვით სასურსათო კომიტეტშია საქმე კარგათ. როცა ერთი წევრი ამ კომიტეტისა მეორის წინააღმდეგ ილაშქრებს და უყენებს განსაზღვრულ ბრალდებებს, მუშათა ჯგუფი სასურსათო კომიტეტისა ან სდუმს, ან აშკარათ მხარს უჭერს ბრალდებულს. მუშათა ტრადიცია ასეთ შემთხვევაში სულ სხვაა. ჩვენ ვსარგებლობთ ასეთი შემთხვევებით და ვცდილობთ გამოვამჟღავნოთ ყველაფერი. მოხალისეთა დამარცხებასთან ერთად მოსალოდნელია ბათუმი ლტოლვილებით აივსოს. აქედანვე საჭიროა ამის საწინააღმდეგოთ ზომების მიღება. თანდათან მწვავდება საველუტო კითხვა. დონის ფულის დაცემა უმნიშვნელოთ ხდის ყოველგვარს გადიდებას ხელფასისას სიძვირე შეუჩერებელის ნახტომებით იზრდება. ამ გარემოებას დიდი ყურადღება უნდა მიაქციოს საბჭომ. ორატორი დიდხანს ლაპარაკობს დაუშვებელ საშუალებებით საქმის მოგვარების შესახებ. გზა კულუარებით სიარულისა მეტათ სახიფათო და მოლიპულია. ამან შეიძლება მუშათა კლასი ავანტიურაში გახვიოს. თუ დღეის სამსახურის გამო ვინმეს საბჭოს წევრთაგან საშუალება აქვს პირადი ნაცნობობით საქმე გააკეთოს ადგილობრივ მთავრობასთან, მოსალოდნელია მდგომარეობის შეცვლა და არა სასურველი შედეგები. ამიტომაც ეს გზა დასაგმობია. საჭიროა ხშირათ იმართებოდეს საბჭოს საზოგადო კრებები სერიოზულ კითხვების გადასაწყვეტად და მცირე საბჭოსათვის დირექტივების მისაცემათ.

საბჭოს მდივანი კობიძე აღნიშნავს, რომ სასურსათო კომიტეტში მუშაობის შესახებ ღია კრებაში ლაპარაკი უხერხულია, და მოითხოვს კერძო სხდომის დანიშვნას ამისთვის.

ამხ. ვ. ქელიძე ამბობს, საბჭო მხოლოდ დაპირებებით გვკვებავს, ჯერ კი მას არაფერი გაუკეთებია. მომენტის სირთულე გვკარნახობს უფრო მეტი თხიანობას და უნარის გამოჩენას. საჭიროა კულტურულ მუშაობას მეტი ყურადღება მიექცეს.

ერთი მუშათაგანი უსაყვედურებს საბჭოს თვითმპყრობელურ ინსტინქტის გამოჩენას. როცა მუშებმა ქარხნის მეპატრონე კოპლანს ეკონომიური მოთხოვნილებები წაუყენეს, საბჭოს თავმჯდომარე მუშების დაუკითხავად შეუთანხმდა მეპატრონეს, რაც დაუშვებელია.

ვრცელ სიტყვას საბჭოს გასამართლებლად ამბობს პრეზიდიუმის წევრი პეგაცოვი, რომელსაც საბჭოს მოქმედება შექმნილ აუტანელ პირობებში დამაკმაყოფილებლათ მიაჩნია. კრიტიკა კარგია, როცა ის საქმიანია. როცა რამეს გვსაყვედურებენ, სხვა საშუალებებზედაც უნდა გვითითებდენ. ამას არც ერთი ორატორი არ სჩადის.

მომხსენებლის ბოლო სიტყვის შემდეგ, მიღებულ იქნა ცოტა შესწორებებით ამხ. წულაძის წარდგენილი შემდეგი რეზოლუცია: „მოისმინე რა საბჭოს თავმჯდომარის მოხსენება, აუცილებელ საჭიროთ მიგვაჩნია: 1) ყოველივე ზომები იქნეს მიღებული, რომ საბჭოს საზოგადო კრებები ხშირათ იმართებოდეს სერიოზული კითხვების გასარჩევად და მცირე საბჭოსათვის დირექტივების მისაცემად; 2) მოთხოვნილ იქნეს სასურსათო კომიტეტის მუშათა ჯგუფის მოხსენება მისი მუშაობის შესახებ; 3) მიენდოს პრეზიდიუმს, რომ შრომის კომიტეტმა, წინამ მუშათა ჯგუფმა კი განსაკუთრებით, გადასდგას აუცილებელი ნაბიჯი სასურსათო და საველუტო კითხვების მოსაწესრიგებლად; 4) მიენდოს პრეზიდიუმს მიიღოს ზომები ლტოლვილთა მოსალოდნელი ტალღების ბათუმისათვის ასაშორებლად".

შემდეგ აირჩიეს ხაზინადრად გ რამიშვილი; სარევიზიო კომ. წევრებათ: 1) ალიხანოვი დ., 2) სპანაკი და 3) ბლიუმბაკი.

სიგვიანის გამო კრება გადაიდო მეორე დღისთვის. ჯიმუხა.

უცხოეთი

გერმანია.

ზიუდეკუმის აზრი. ბიუჯეტის გარჩევის დროს პრუსიის ნაციონალურ კრებაში პრუსიის ფინანსთა მინისტრმა და სოციალისტური პარტიის ცნობილმა წევრმა ზიუდეკუმმა, სხვათა შორის, განაცხადა: ცდა პროლეტარიატის დიქტატურის დამყარების შესახებ დიდ უბედურებას დაატეხდა თავზე გერმანიას; ეს საგრძნობლათ გაამწვავებდა მდგომარეობას და მონობაში ჩააგდებდა გერმანიის ხალხს. ასეთივე შედეგებს გამოიღებს მონარქისტების ცდაც, რომელიც ძველი რეჟიმის აღდგენისაკენ მიისწრაფის. ზიუდეკუმის აზრით, მხოლოდ საშუალო ხაზი, დემოკრატიული წყობილება, იხსნის მდგომარეობას.

ინგლისი

ინგლისი და საფრანგეთი ლლოიდ-ჯორჯსა და კლემანსოს შორის წარმოებული მოლაპარაკება ყველა საკითხებში შეთანხმებით დასრულდა. ევროპის ბედი ამიერიდან ინგლის-საფრანგეთის მეურვეობის ქვეშ იქნება. შეთანხმება მოხდა ეკონომიურ საკითხების გარდა შემდეგ საკითხებში: ზავი ოსმალეთთან, კონსტანტინოპოლის მომავალი, მდგომარეობა ადრიატიკაში, ინგლის-საფრანგეთის პოლიტიკა რუსეთის საკითხში, ამერიკის პოზიცია საზავო ხელშეკრულების საკითხში.

შეთანხმება მთავრობასა და რკინის გზელებს შორის ინგლისის გზათა მინისტრმა გედესმა თემთა პალატაში განაცხადა, რომ მთავრობასა და რკინის გზელებს შორის მოხდა შეთანხმება, რომლითაც მომავალში ყველა სადავო საკითხები უნდა გადაეცემულ იქნეს შერეულ კომისიაში, რომელშიაც შევლენ 5 წარმომადგენელი რკინის გზების კომპანიებისაგან და 5 პროფესიონალურ კავშირებიდან და მუშებიდან. თუ კი ამ კომისიაში ვერ მოხერხდება შეთანხმება რომელიმე საკითხის შესახებ, მაშინ ეს საკითხი გადაცემული იქნება სამუშაო ქირის ცენტრალურ კომისიაში, რომელშიაც შევლენ წარმომადგენელნი მცხოვრებლების მხრითაც. პროფესიონალურ კავშირმა გარდა ამისა აღუთქვა მთავრობას, რომ არ გამოაცხადებს გაფიცვას საკითხის უკანასკნელ კომისიაში გადაცემის დღიდან ერთი თვის განმავლობაში.

ეგვიპტე.

ეგვიპტეში შესვლის აღკრძალვა ინგლისელი დიპლომატები და საზოგადო მოღვაწენი უკანასკნელ ხანებში დიდ ყურადღებას აქცევენ ეგვიპტის ცხოვრებას. ეგვიპტეში შესვლა აღკრძალული აქვს ტურისტებს და საზოგადოთ ყველა უცხოელებს. აკრძალვა ვრცელდება ინგლისის მოქალაქეებზედაც, რომლებსაც არ ექნება ინგლისის საგარეო საქმეთა სამინისტროს პასპორტები. ამას სამინისტრო იმით ხსნის, რომ ეგვიპტეში მღელვარებაა. ეგვიპტეში შესვლის უფლება მხოლოდ სუდანის არმიის მუშებს აქვთ.

სომხეთი

ქურთ სომეხთა შეთანხმება. ქურთებსა და სომხებს შორის უთანხმოების მთავარი საფუძველი საზღვრების შესახებ საკითხი იყო და არის. როგორც პარიზიდან ატყობინებენ სომხურ გაზეთებს, ამ საკითხის შესახებ იქ მომხდარა შეთანხმება სომხეთისა და ქურთისტანის წარმომადგენლებს შორის. შეთანხმებაზე ხელს აწერენ სომხეთის მხრით პოგოს ნუბარი და ოგანჯანიანი, ქურთისტანის მხრით—შერიფ-ფაშა. მოკავშირე სახელმწიფოების წარმომადგენლებმა დიდი სიხარული გამოსთქვეს ასეთ შეთანხმების გამო, თუმცა ამასთანავე აღნიშნავენ, რომ შერიფ-ფაშა არ არის ქურთების ოფიციალური წარმომადგენელი. მიუხედავათ ამისა, შეთანხმებას დიდი მორალური მნიშვნელობა ექნება. შერიფ-ფაშას განცხადებით შეთანხმებას მთელი ქურთისტანი დიდის სიხარულით შეეგება.

პროფესიონალურ კავშირებში

პროფეს. კავშირთა საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტების მოღვაწეობიდან.

საქართველოს პროფესიონალურ კავშირთა საბჭოების კონფერენციაზე წარდგენილ მოხსენებაში სხვათა შორის შემდეგს ვკითხულობთ:

საქართველოს პროფ. კავშირთა საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი, რომელიც გამოყოფილია საქართველოს პროფესიონალური ორგანიზაციით ყრილობის მიერ, თავის მუშაობას უმთავრესად აწარმოებდა ორი მიმართულებით: პროვინციის ორგანიზაცია და პერიოდიული ორგანოს გამოცემა. პირველი ძნელი შესასრულებელი იყო, უმთავრესად იმიტომ, რომ არ იყო თავისუფალი და პროფესიონალურ მოძრაობაში საკმაოდ მომზადებული მუშაკთა კადრი. მიუხედავად ამისა, აღმასრულებელმა კომიტეტმა შესძლო ცენტრი და პერიფერიები ერთმანეთთან დაეკავშირებია და პროვინციის მუშათა ცხოვრების ხელმძღვანელობა ხელში აეღო.

პროფესიონალური მოძრაობა პერიფერიებში შესამჩნევად ცხოველდება. აარსებენ ახალ პროფ. კავშირებს, რომლებიც უერთდებიან საბჭოებს ქალაქთა მთელ რიგში, მაგ. სოხუმში, ჩოხატაურში, ყვირილაში, თელავში, გორში და სხვაგან კავშირთა მოქმედების გასაცოცხლებლად იწვევენ საერთო კრებებს, რომლის საშუალებითაც დაარსდა სხვა პატარა ორგანიზაციებიც.

ადმინისტრაციისა და მუშათა შორის შექმნილი მთელი რიგი უთანხმოებისა, მოგვარებულ იქნა აღმ. კომიტეტის წევრების მიერ, რომლებიც იგზავნებოდენ პროვინციებში აღმ კომ მიერ.

რაც შეეხება ბეჭდვითი ორგანოს გამოცემას,—არ იყო ეს ადვილი საქმე. რადგანაც ამისათვის საკმაო თანხა არა იყო. „მუშათა ცხოვრების" გამოსაცემად პირველი თანხა (24,000 მან.) შემოიტანა რკინის გზის მოსამსახურეთა კავშირმა. პირველად იბეჭდებოდა სამი ათასი ცალი შემდეგ მისი ტირაჟი ხუთი ათასამდე გადიდდა. ჟურნალი, უმთავრესად, თფილისში ვრცელდება.

პეტრე ხიმონის ძე თოიძე.

7 იანვარს საღამოს 7 ს. ვერაგულად მოჰკლეს უფროსი მილიციელი სამკურნალო ფაკულტეტის სტუდენტი პეტრე თოიძე.

ის იყო ჯერ კიდევ ნორჩი, ენერგიით სავსე, უკეთესს მერმისისთვის თავდადებული მებრძოლი მან არ იცოდა რა იყო შიში. ბუნებით მამაცი და გამბედავი, სრული შეგნებით, დამახასიათებლებთანავე მილიციელთა პირველ რიგში იდგა და ებრძოდა რესპუბლიკის მტრებს.

პეტრეს მილიციელების დიდი სიყვარული და ნდობა ჰქონდა დამსახურებული, მას ყოველთვის ირჩევდნენ სხვადასხვა პასუხსაგებ ადგილებზე.

მისი სახით მილიციელებმა დაჰკარგეს ერთი საუკეთესო თანამოსამსახურე. მე კი პირადათ და საერთოდ მისმა უახლოესმა ამხანაგებმა—დაუფასებელი ამხანაგი, ძვირფასი მეგობარი და საყვარელი ძმა.

ცხედარი 11 იანვარს ნაშუადღევის 3 ს. გაასვენეს ქვაშვეთის ეკლესიიდან ვერაში. პროცესიას საკმაოთ დაესწრო საზოგადოება. კუბო შემკული იყო გვირგვინებით და ყვავილებით.

მიშა ქავთარაძე.

შრატის დამზადების საქმე

„ერთობის" მეხუთე ნომერმა გვამცნო, რომ შორაპნის სამაზრო ერობას განუზრახავს საქონლის ჭირის საწინააღმდეგო შრატის დასამზადებელ სადგურის აშენება და იუწყება ამ მოკლე ხანში დასრულდება კიდევაცო.

საქონლის ჭირი ისე ფართოდაა მოდებული ჩვენს რესპუბლიკის ტერიტორიაზე და შრატის მოთხოვნილება იმდენად დიდია, რომ ყოველივე ცნობამ მის დასამზადებელ სადგურის აშენებაზე, ჩვენში უნდა გამოიწვიოს აღფრთოვანება. მკითხველს ებადება აზრი: ნუთუ ასე ადვილია შრატის სადგურის მოწყობა და თუ ეს ასეა, რატომ არ გვქონდეს საკმარისი შრატი? მაგრამ ჩვენ თუ გავითვალისწინებთ შრატის ნაკლებლობის მიზეზებს, დავინახავთ, რომ სადგურის აგება, მოწყობა და წარმოება ადვილი საქმე არ არის, ის მეტად ძნელი და რთულია, მისთვის საჭიროა როგორც ფინანსიური მხრით დიდი ხარჯები, აგრეთვე მეცნიერული ცოდნა და პრაქტიკული გამოცდილება. ტექნიკა შრატის დამზადებისა მოითხოვს მეცნიერულად გამოკვლევას სადი და ავადმყოფ საქონლების სისხლისა, რომლიდგანაც მზადდება შრატი. საჭიროა შრატის პროდუქციის სხვადასხვა გვდამლებ სნეულებათაგან დასაცველად, გამოკვლევა ხარისხისა დამზადებულ შრატისა (ტიტრაცია) და სხ. სადგურის მოქმედობის საქმიანობა იმდენად საპასუხისმგებლოა, რომ თუ მან ერთი წუთითაც კი გადუხვია თავის დანიშნულებას, რგების ნაცვლად მოაყენებს საზოგადოებას აუნაზღაურებელ ზარალს. მოიგონეთ თვით ცნობილ მთელ რუსეთში სპეციალისტების მიერ დამზადებული შრატით აცრა საქონლისა ს. დიდი-ჯიხაიში 1918 წ., სადაც ცრამ სამწუხარო შედეგი მოიტანა ჩვენ ჯერ არ ვიცით, თუ შორაპნის ერობა რამდენად შესძლებს სადგურის ტექნიკურად საჭირო ინვენტარის ინსტრუმენტებით მოწყობას და თვით სპეციალისტების გამონახვას მის ასამუშავებლად, მხოლოდ ვიტყვით, რომ საშრატე სადგურის აგებ მოწყობა, მისი მუშაობა, როგორც რთული და საპასუხისმგებლო საქმე, უნდა სწარმოებდეს საერთო ძალით სახელმწიფოებრივ თვალთახედვით.

მთავრობას უკვე აქვს საშრატე სადგური, რომლის მიზანია მთელ რესპუბლიკის საჭიროებათა დაკმაყოფილება, რომელსაც სათავეში უდგია ცოდნით აღჭურვილი სპეციალისტი. პიროვნება, შინაგან საქ. ს-მ. ვეტ.-სანიტარული განყოფილების მეთაურობით და აი, სწორედ სასურველია, არა დაქსაქსვა და ცალ-ცალკე მოქმედობა, არამედ ამ დიდ საქმის საერთო ძალ-ღონით ხელის შეწყობა და გაძლიერება, რადგანაც მეტი შანსია ნაყოფის მისაღებად.

ვეტ.-ფერშალი ნ. ხხულუხია

ფოსტა-ტელეგრაფის ცხოვრებიდან

„სახალხო საქმე"-ს № 730-ში, მოთავსებულია ვილაც X წერილი. ავტორის თქმით კოლექტივი აწარმოებს უფროსების დანიშვნას, გადაყვანას და სხ. ამ ჩარევას ადმინისტრაციის საქმეებში, ავტორი ხსნის მოსამსახურეების ცენტრალური გამგეობის წინააღმდეგ ბრძოლის საჭიროებით, რომელიც ფედერალისტებისაგან შესდგება და რომლის არსებობა, ვერ „მოუნელებია" როგორც კოლექტივს, ისე ადმინისტრაციას. ავტორი ამასთანავე დასძენს, რომ უწყებაში „პირდაპირ ტერორი გაამეფეს და საბრალო მოხელემ აღარ იცის როგორ მოიქცესო".

და ყველა ეს ხდება თურმე მაშინ, როცა „სოციალდემოკრატიულ ლიგის ორგანოს განცხადების თანახმად, პარტიული კოლექტივი არ უნდა ერეოდეს სახელმწიფო დაწესებულებათა მართვის საქმეშიო".

განა მართალია ყველა ეს? პირიქით, აურიცხელი საბუთების მოყვანა შეიძლება, რომ დღევანდელი, ასე ვთქვათ, ფედერალისტური ცენტრალური გამგეობა, მისი პარტიული სახით, ერევა უწყების მართვის საქმეებში და ცდილობს უწყების ხელში ჩაგდებას. თუ ბრძოლა არის მოსამსახურეების ერთი ნაწილის და ადმინისტრაციას შორის—ერთი მხრით, მოსამსახურეების ნაწილის და ცენტრალურ გამგეობის—მეორე მხრივ,—მხოლოდ ამ ნიადაგზე!.. ამ ბრძოლაში, ავტორის ჯგუფები, არავითარ საშუალებას არ ზოგავენ, რომ საზოგადოებას უკუღმა დაუხატონ საქმის ნამდვილი ვითარება და ასე, უწყებაში ანარქია შეიტანონ! ამ ბრძოლაში ისინი, ყველა ფუქსავატ, ზარმაც და უდარდელ მოხელეს იცავენ, თუ მათ წინააღმდეგ, ვინმე რამე სთქვა და უწყების გაჯანსაღებას შეეცადა! . ავტორის წერილი, საუკეთესო დამახასიათებელია იმ „წმინდა მოღვაწეობის", რომელსაც ეწევიან X ჯგუფები უწყებაში და ჩვენ ვფიქრობთ, ვისაც უწყების გაჯანსაღება სურს, დაუყოვნებლივ ყურადღებას მიაქცევს ამ გარემოებას.

ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ წერილის პირველ ნახევარს, ვისაც ეხება ის, პასუხს გასცემენ, ჩვენ კი, გადავალთ იმ ბრალდებების განხილვაზე, რომელსაც ავტორი გვიყენებს.

7 დეკემბრის საერთო კრების შესახებ ავტორი ამბობს: ალფერიევს მოსამსახურეების ჯამაგირების საკითხის „მოგვარება" უნდოდა, მაგრამ იმედი არ გაუმართლდა და მოსამსახურეებმა „ჩაახშესო". ჩვენ კი ვამბობდით: დიდი ახალ მთავრობის წრის შეხედულებისას, ჯამაგირების მომატების საკითხში, ვიზიარებთ, რადგან ბაზრის და ჯამაგირების არანორმალური ზრდით, მოსამსახურეების მდგომარეობა არ გაუმჯობესდება და სახელმწიფოსთვისაც მავნებელია. ამიტომ, თუ მთავრობა შეძლებს სურსათის მიწოდებას, უკანასკნელს ვამჯობინებ თქვა. აი, ეს იყო ჩვენი შეხედულება და ესაა დღესაც. ესაა ჯამაგირების „მიფუჩეჩება?" ნუ თუ ლიადოვი. ამდუმელიშვილი და სხვები, ყველა ელოდიკოა, თქვენ კი ბრძენი? საქმე იმაშია, რომ „ალფერიევი" და სხვები, ანგარიშს უწევდენ იმ ობიექტიურ პირობებს, რომელიც აიძულებს მთავრობას იხელმძღვანელოს ასეთი პოლიტიკით. როგორი იყო თქვენი აზრი? თქვენ ულტიმატუმის გზით გინდოდათ ფონს გასვლა და გამარჯვების მოპოვება. როცა ჩვენ ამ ყალბი შეხედულების წინააღმდეგ გავილაშქრეთ, თქვენ კრებაზე ერთი აურზაური ატეხეთ, და ჩვენც იძულებული გავხდით სიტყვაზე ხელი აგვეღო აი რას ეძახით თქვენ „ჩახშობას". რომ მკითხველს სრული წარმოდგენა ჰქონდეს თქვენს გამარჯვებაზე გაცნობთ. ის გზა, რომლითაც უზრუნველ ჰყოფთ თქვენი გამარჯვება 7 დეკემბრის კრებაზე. აი თქვენი სიტყვების აზრი: „მოსამსახურეები ქუჩაში შიმშილით ვართ დებიან, მოსამსახურეები აპარატთან მუშაობის დროს ძაღლ-გამოლეულები, ისეტავზე ეცემიან! ადმინისტრაცია და ალფერიევი, ჯამაგირების მომატებაში ხელს გვიშლიან, თორემ იმდენსანს ჩვენი საქმე კარგათ წავიდოდაო. მიუმატეთ ამას ქუთაისის ულტიმატუმი, რომელიც თქვენი კამპანიის გამოძახილი იყო და ყველაფერი ცხადი იქნება. თქვენი ჯგუფიდან გამოგზავნილი აგენტები კრებაზე მოსამსახურეებს უვლიდნენ და ეუბნებოდნენ: თავმჯდომარეთ ბერძენიშვილი აირჩიეთ, ის შეუპოვარი მებრძოლია ადმინისტრაციის წინააღმდეგ, ბოლშევიკებს თანაგრძნობს და კარგათ წაიყვანს საქმესო აი, ბატონო X როგორ მოქმედებს თქვენი წმინდა მოღვაწეობისა 7 დეკემბრის საერთო კრებაზე. ამნაირ დემაგო-

გიით და გზით, თქვენ მართლაც შეჰქმენით ზოგიერთ ძალზე შევიწროებულ მოსამსახურეების წარმოდგენაში ისეთი შეხედულება, თითქოს ადმინისტრაცია, ჩვენი ჯგუფი და მთავრობაც წინააღმდეგი იყოს მუშა მოსამსახურეების მდგომარეობის გაუმჯობესობისა. ძნელი წარმოსადგენი არაა, თუ რატომ იბრძვით თქვენ ასე უკუღმა, როცა ჩვენმა მთავრობამ და მისმა ორგანოებმა ძალიან კარგათ იციან და შესაძლებლობის ფარგლებში ყველაფრით ეხმარებიან კიდეც! თქვენ იძახით: „ალფრედმა და მისმა თანამოაზრეებმა პარტიულ ჩარჩოში ჩასვეს საკითხი და თავისებური ხაზით დაუწყეს შემოვლაო“. განა ალფრედს და თანამოაზრეებს მოსამსახურეების ეკონომიურ საკითხში სხვა ხაზი ჰქონდა, ვინემ ლიადოვ-აბდუშელიშვილს, და მაშასადამე, მთავრობასაც! განა ისინი, ან ჩვენ წინააღმდეგი ვიყავით მოსამსახურეების მდგომარეობის გაუმჯობესობის? განა ამ პარტიულ შეხედულებამ და თავისებურმა შემოვლამ არ მიიყვანა ქართველი ერი 12 იანვრის ბრწყინვალე გამარჯვებამდე? ქართველი ერის 12 იანვრის ბრწყინვალე გამარჯვებაში თქვენი ბატენიც სიამოვნებით არ თამაშობდა!?.

შემდეგ თქვენ ამბობთ: „ალფრედის ხაზი რომ მიეღო მოსამსახურეებს, ჯამაგირების საკითხი დღესაც არ იქნებოდა აღძრულიო“. ნუ თუ ფიქრობთ, რომ თქვენ არ ყოფილიყავით უწყებაში, მოსამსახურეების საქმე დაღუპული იქნებოდა... ჩვენ კარგათ ვიცნობთ და დარწმუნებით, რომ თქვენი მოღვაწეობის მხარე მოსამსახურეების ყოფა-ცხოვრებაზე, ერთობ უარყოფითია!.. თქვენ და თქვენი თანამოაზრენი, გათიშულები მუშების სხვა ორგანოებიდან, ხელს უშლით მოსამსახურეების ეკონომიურ ცხოვრების უკეთ მოგვარებას. გარდა ამისა, თქვენ ძალიან ცუდი წარმოდგენა გქონიათ სატარიფო პალატის და მისი სტატისტიკური ბიუროს დანიშნულებაზე. მართალია, თქვენ 7 დეკემბრის კრებაზე კრიტიკის „ქარცეცხლში“ გაატარეთ სატარიფო პალატის მოღვაწეობა, უვარგისად იცანით, მაგრამ გარწმუნებთ, რომ იქ თავს იყრის მუშა-მოსამსახურეების საუკეთესო წარმომადგენლები და თქვენზე ნაკლებად არ იცავენ მოსამსახურეების ინტერესებს. მთავარი დანაშაულობა მისი სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ მოსამსახურეების ეკონომიური ბრძოლა სწორ კალაპოტში ჩააყენოს და მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება საერთო მასშტაბით გადასჭრან. მისი დახმარებით, მნიშვნელობა ეკარგება და თითქმის უქმდება ცალკე ორგანოების სეპარატიული გამოსვლები.

ჩვენი მთავრობისათვის არ არსებობს ერთი დარგის მუშების დაკმაყოფილება და მეორის არა; თქვენ შემდეგ ამბობთ: ალფრედს 7 დეკემბერს თავის „საწმყოში“, ისეთი მარცხი მოუვიდა, რომ არასოდეს არ გამოსწორდებაო, იქვე კი მეორე ადგილას ამბობთ: „ალფრედმა მიზანს მიაღწიაო“. თქვენ ამბობთ: ადმინისტრაციის ძალდატანებით, ვითომ ხელი მოაწერა მოსამსახურეებმა ცენტრალურ გამგეობის უნდობლობის აქტს და ამით, ხსნით ვითომდა თქვენს მარცხს. გეკითხებით რა იყო შარშან, შარშან წინ?! როცა, თქვენი თქმის არ იყოს, ჩვენმა „პარტიულმა შეხედულებამ“ და „თავისებურმა შემოვლამ“, ქართველმა ერმა ბრწყინვალეთ გაიმარჯვა, ფოსტის მოხელეები, თქვენს ბანაკში გადმოვა? ნუთუ თქვენ ფიქრობთ, რომ ფოსტის მოხელეებს, საკუთარი აზრი არა აქვთ, და ვინც რას ეტყვის, იმას შვრებიან? როცა მათ გაითვალისწინეს თქვენი ცენტრალური გამგეობის მოღვაწეობის შედეგები, დარწმუნდნენ, რომ თქვენი პოლიტიკა დემოკრატიისაგან, ადმინისტრაციისაგან და მთავრობისაგან გათიშვის გზაა და ამიტომაც უარყო იგი. საბრალოა ბ. X ყველასათვის, როცა ვითომდა თქვენს მარცხს ფოსტაში, ადმინისტრაციას აბრალებთ! მართალია ადმინისტრაცია საერთოდ დიდი „საბუთია“ თქვენთვის, მაგრამ ამით თვალებს ვერავის აუხვევთ! და ბოლოს თქვენ, დასმენის სახით ამბობთ: ვითომ ცენტრალურ ორგანოს წინააღმდეგ გამოტანილ უნდობლობის აქტზე ხელის მოწერა გამართლებულიყოს სამსახურის დროს. არ არის ეს სიმართლე. დაბალმა მოსამსახურეებმა და იქ მყოფმა მოხელეებმა ხელი მოაწერეს აქტს მაშინ, როცა ისინი უსაქმოთ იყვნენ და მატარებლით ფოსტის მოსვლას ელოდენ.

ალფრედ.

ს.-დ. პარტიაში

ავლაბარი. 6 იანვარს შესდგა ავლაბრის რაიონის ს. დ. მ. პ. ქალთა ორგანიზაციის საერთო კრება. დაესწრო 50 წევრი. თავმჯდომარეობდა ივ. გოჩიტაშვილი. მდივნობდა ამხ. აგრა ახვერდოვისა. განსახილველი საკითხები: 1) ანგარიშების დამტკიცება, 2) წრეში მეცადინეობა, 3) დახმარება ავათმყოფ ამხ. ს. გეგელაშვილს, 4) თფილისის ქალთა კომიტეტში წარმომადგენლის არჩევა და გასული წლის ანგარიშები. სარევიზიო კომისიის წევრის ი. ხუციშვილის მოხსენება მიღებულ იქნა. წრეში მეცადინეობის შესახებ კრებამ დაადგინა: ვინაიდან დღევანდელი მდგომარეობა გვავალებს, რომ თითეული პარტიის წევრი იდგეს სათანადო შეგნების სიმაღლეზე, ამისთვის მოეწყოს წრეში მეცადინეობა ყოველ თვეში ორჯელ—შაბათობით, აგრეთვე დაევალოს ამხანაგ ქალებს დაესწრონ ავლაბრის სახალხო უნივერსიტეტში ლექციებს; დაევალოს ამხ ქალებს საანბანო სკოლაში დაიწყონ სწავლა, რომლებმაც არ იციან წერა-კითხვა. ავათმყოფ ამხ. ს. გეგელაშვილისთვის მცირე დახმარება კრებამ უკამათოთ მიიღო. თფილისის ქალთა კომიტეტში წარმომადგენლად ერთხმად არჩია ამხ. ოლ. ზაქრაძე. მასვე დაევალა წრეში მეცადინეობა.

მდივანი აგრ. ახვერდოვისა.

ქალ. თელავი. იანვრის 4 შესდგა პარტიული ყრილობა. დღის წესრიგში იდგა: 1) მოხსენება მომენტზედ, 2) მოხსენება პრეზიდიუმისა, 3) მოხს. სარევიზ. კომისიისა, 4) მოხსენება საგამომძიებლო კომისიისა ბოლშევიკების შესახებ, 5) ეკლესიის საკითხი, 6) მიმდინარე საკითხები. თავმჯდომარეთ არჩეული იქნა ამხ. ალ. ლანდია, მდივნათ,—ალ. ჩიტოშვილი. დამფუძნებელი კრების წევრი ამხ. ს. მაჭავარიანი თავის მოხსენებაში, თანამედროვე მომენტზე ეხება მოკლეთ ჩვენ საშინაო და საგარეო პოლიტიკას, არკვევს და მოჰყავს ფაქტები ჩვენი მთავრობის სწორი მუშაობისა, რასაც კრება ისმენს დიდის ყურადღებით. შემდეგ პარტიულ მუშაობაზე ლაპარაკობს პრეზიდიუმის წევრი ამხ. კოტე სეხნიაშვილი, თუ რა გააკეთა კოლექტივმა ერთი წლის განმავლობაში; მისი მოხსენებიდან ირკვევა, რომ კოლექტივს უმუშავნია შეძლებისა და გვარათ, თუმცა, წევრები მისი სხვა ბევრი საქმეებით ყოფილან დატვირთულნი. აღნიშნავს კოლექტივის საქმიანობას ყოველ დარგში, და ათავებს იმით, რომ შემდეგშიაც თელავის სოც. დემ. კოლექტივი თავის ძალების მიხედვით იმუშავებს პარტიული იდეების გასაძლიერებლათაო. მერე შეკითხვებით მიმართავენ ამხანაგები პრეზიდიუმს, რაზედაც იღებენ დამაკმაყოფილებელ პასუხს.

ამის შემდეგ მოკლე მოხსენებას აკეთებს სარევიზიო კომისიის წევრი ბ. პეპბურიძე კოლექტივის იდეურ მუშაობაზე და აღნიშნავს, რომ კოლექტივის მუშაობა მიუხედავათ მცირე ნაკლისა დამაკმაყოფილებლათ უნდა ჩაითვალოსო.

მეორე სარევიზიო კომ. წევრი ალ. კაპანაძე კითხულობს ანგარიშს პარტიის ფინანსებზე; შემოსავალ გასავალიდამ სჩანს, რომ შემოსავალი გასავალზე მეტი ყოფილა. რეზოლიუცია: მოისმინა რა პარტიულმა ყრილობამ მოხსენება კოლექტივის პრეზიდიუმის და სარევიზიო კომისიისა, ყრილობა უცხადებს ნდობას და აღიარებს კოლექტივის მუშაობას ნაყოფიერათ, მიუხედავათ რამოდენიმე დეფექტებისა. გამოსთქვამს იმედს, რომ მომავალში კოლექტივი უკეთესათ იმუშავებს. დაგვიანების გამო კრებამ ვერ მოასწრო ყველა საკითხების გარჩევა, ამიტომ გადაიდო მომავალ კვირისთვის.

11 იანვარს გაიხსნა კრების გაგრძელება სოსო მაჭავარიანის თავმჯდომარეობით, მდივნათ არის ალ. ჩიტოშვილი.

ყრილობამ ერთხმად დაადგინა გამოარიცხოს თელავის სოც. დემ. მუშათა პარტიის ორგანიზაციიდან: 1) ვანო მოსიაშვილი, 2) ფირუზა გეორგელაშვილი, 3) ივგოროვი ბულდინა.

ეკლესიის საკითხის გამო, მოკლე შინაარსიან მოხსენებას აკეთებს ამხ. ესტ. მირიანაშვილი. ის ეხება საკითხს ყოველ მხრივ და მოწოდებულია სთვლის ეკლესიის სახელმწიფოსაგან გამოყოფას. ყრილობა ერთ ხმად ადგენს: რაც შეიძლება დააჩქაროს ეს საკითხი მთავრობამ, რათა ეკლესია გამოეყოს სახელმწიფოს.

მიმდინარე საკითხებზე, აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ ყრილობა იღებს ს. მაჭავარიანის წინადადებას დაიყოს თელავი რაიონებათ. ყოველ რაიონში გაიხსნას მუშათა კლუბი, სადაც კულტურულ მუშაობასთან ერთად გააძლიერებენ იდეურ პარტიულ მუშაობასაც. თვითეულ რაიონში აქვე დაასახელეს მომწყობი ორგანიზატორები. კომიტეტი მალე გამონახავს ლექტორებსაც, ლექციების სისტემატიურათ წასაკითხათ ამ რაიონებში.

მდივანი.

მუშათა შორის

ნავთლუღი. 15 იანვარს, შესდგა საერთო კრება ქალაქის სასაკლაოს მუშა-მოსამსახურეთა ამხ. მ. პიროსმანაშვილის თავმჯდომარეობით დღის წესრიგი: 1) ექიმის დანიშვნა ნავთლუღის რაიონში მუშა-მოსამსახურეთათვის; 2) მიღება მუშა-მოსამს. სამსახურში; 3) განხილვა ტეხნიკური სექციის ოქმისა; 4) თხოვნა სამხედრო მინისტრის წინაშე ყაზარმის დათმობის შესახებ რეიტერის ქუჩაზე; 5) ანგარიში თეატრისა.

ექიმის დანიშვნის შესახებ კრებამ დაადგინა: ექიმი ბ. კრემენისა, რომელიც ცხოვრობს ვერის აღმართზე, დანიშნულია ნავთლუღის რაიონის მუშებისათვის. ის არ არის ჩვენთვის ხელსაყრელი. ამისათვის ეთხოვოს ქალ. თვითმ. მუშა მოს. ალმასრ. კომიტეტს, იშუამდგომლოს ქალაქის თვითმ. წინაშე, რათა ისეთი ექიმი დანიშნონ, რომელიც აცხოვრებს ნავთლუღის რაიონში მუშა-მოსამს. მიღებაზე უარი ეთქვა ყველას, რადგანაც არ არის თავისუფალი ადგილები. ტეხნიკური სექციის ოქმი იქნა ერთ ხმით მიღებული უცვლელათ. ყაზარმის აღების შესახებ მუშებისათვის, დაადგინა კრებამ, ეთხოვოს სამხედრო მინისტრს, რომ ის ყაზარმა, რომელიც არის თავისუფალი ნავთლუღში რეიტერის ქუჩ., დაგვითმონ მუშებს. ამის სისრულეში მოყვანა დაევალა: 1) გ. კვერნაძეს, 2) შ. გოგინაშვილს და 3) პ. ბოკერიას. თეატრის ანგარიში კრებამ ერთხმად დაამტკიცა და მადლობა გამოუცხადა მომწყობ კომისიას.

მდივანი: პ. ბოკერია.

— —

მთავარ ხაინჟენერო საწყობში ვმსახურებთ ხუთიოდე მოხელე მაღაზიების გამგენი. ჩვენმა ლაშქარმა საწყობის მიღება დაიწყო 1918 წლის 16 ივნისიდან. იმავ წლის თითქმის ენკენისთვემდე მუშაობა საწყობში სწარმოებდა ჩვეულებისამებრ 6 საათს. რადგანაც ყველა ქონების აღწერა-მიღება ძლიერ გაჭიანურდა და საჭირო იყო მალე დამთავრება, ჩვენმა ადმინისტრაციამ შემოიღო 8 საათის მუშაობა და წლის ბოლომდე დავამთავრეთ კიდეც.

საუბედუროთ, დეკემბერში იმავ წლისა მოხდა შეტაკება სომხებთან და ამან კიდევ უფრო გააუარესა ჩვენი მდგომარეობა. შემოღებულ იქნა მოხელეთა მორიგეობა, ჩვენც გამოკვეთებული ენერგიით შევუდექით ყოველგვარ მოთხოვნილებების შესრულებას; მაგრამ უბედურება იმაშია, რომ ეს დროებითი ზომები ჩვენთვის მუდმივათ გადაიქცა. მორიგეობა იმაში გამოიხატება, რომ დანიშნული მოხელე სამსახურის შესრულების შემდეგ იქვე უნდა დარჩეს, საჭმელიც თან დილიდანვე მოტანილი ჰქონდეს, ღამე ორჯერ ან სამჯერ დაათვალიეროს საღარაჯო ადგილები და დარაჯების სიფხიზლე, გარდა ამისა, კანცელიარიაში მიიღოს ტელეფონოგრამები და წერილები. მეორე დღეს დილიდანვე ისევ უნდა შეუდგეს სამსახურის შესრულებას და ასე, 32 საათის განმავლობაში დაუსვენებლივ იშრომოს. ასეთი მორიგეობა თვითეულ ჩვენგანს ხშირათ კვირაში ორჯერ გვიხდება და ერთხელ კი აუცილებლათ. შარშან თებერვალში მივმართეთ თხოვნა უფროსებს, რომ ცოტათი შეემსუბუქებინათ შრომის პირობები: მოესპოთ მორიგეობა მოხელეებისა და ან მორიგეობის მეორე დღის დასვენება შემოეღოთ, როგორც სხვა დაწესებულებებშია და სხ. სექციის უფროსმა მხოლოდ ერთზე გამცა პასუხი და ისიც გამოურკვეველი: „ომის გათავების შემდეგ თვითონ მორიგეობა გაუქმდებაო“ ნუ თუ ასეთ ჩვეულებრივ პირობებში, როგორიც დღემდე ან დღესაც არის, შეუძლებელია ცოტათი მაინც შემსუბუქება ზოგიერთ პირობებისა?

ამოდენა ქონების ზედამხედველობის და პასუხისმგებლობის გარდა თითეული ჩვენგანი აწარმოებს თავის კანცელიარიის და ქონების ანგარიშს. მიღება-გაცემა საქონლის, ჩაწერა-ამოწერა, დალაგება მათი და მუშების თვალყურის დევნება, მართლაც რომ ძალიან ძნელია და ისიც რვა საათის განმავლობაში. მართალია, ზოგჯერ მწერალსაც გვიხმარებენ, მაგრამ ისინი ხომ გადამწერები არიან და თუ ჩვენ გამხედვებული არ მივეცით, თავისით ვერას გაგვიკეთებენ. მეორეჯერაც გავიმეორე წერილობითი თხოვნით ჩემი მუდარა, მაგრამ უფროსმა უკან დამიბრუნა და მითხრა: „პირველი თხოვნისთვის ცუდის თვალით გიყურებენ და ამ მეორემ რომ უფრო არ გააფიცხოს უფროსები, თავი დაანებეო“. სიტყვიერათაც ბევრჯერ მითხოვნია, მაგრამ დღემდის ისევ იმ მდგომარეობაში ვართ. აქვე უნდა მოგახსენოთ, რომ ის გამგეები, რომლებიც ჩემებრ დატვირთული იყვნენ შრომით, ყველანი დაიცვალნენ, ახლები კი ჯერ ჯერობით ურიგდებიან ამ მდგომარეობას, თუმცა და ზოგს ჩემებრ უჭირთ. შესაძლებელია ამდენი შრომის და პასუხისმგებლობის აუტანლობის გამო მეც წავიდე; მაგრამ მე მაინც იმედი მაქვს, რომ ოდესმე შეიცვლება ასეთი პირობები, მაგრამ მაშინ ჩემთვის კი გვიანი იქნება. დაიმედებული მით, რომ ვისაც ეს ეხება ის ამის შემდეგ მაინც მიაქცევს ყურადღებას ამ მდგომარეობას, კვლავ განვაგრძობ შეძლებისამებრ ამ აუტანელ შრომას.

ს. პ. კაკაბაძე.

პროვინცია

ს. ნაფარეული (თელავის მაზრა) მართალია, ს. ნაფარეულში ინტელიგენცია ცოტაა, მაგრამ ამათაც ძალიან ეზარებათ ჟურნალ-გაზეთების გამოწერა. ეზარებათ არა იმისათვის, რომ ფული ენანებათ, არამედ—გაზეთები ეკარგებათ, დროზე ვერ ღებულობენ. ოთხი თვის წინ აქ, ს. ნაფარეულში, სახალხო უნივერსიტეტი და სამკითხველო გავხსენით, რ. ჩიხლაძის სახელობაზე. მე თითონ წამოველ ჟურნალ-გაზეთების დასაკვეთად სახ. უნივ. მონდობილობით, გამოვიწერე თითქმის ყველა რედაქციიდან, მაგრამ გაზეთები მესამედიც არ მოსულა. დეკემბერში მე კერძოთ გამოვიწერე, მაგრამ ერთი თვის განმავლობაში სულ 17 ნომერი მივიღე. აი ამის მიზეზით არ იწერენ გაზეთებს და ვართ მოწყვეტილი ქვეყნიერებას.

დარწმუნებული ვარ რომ რედაქცია უკლებლივ გზავნის გაზეთებს, მაგრამ... სადღაც იკარგება. ასეთი სხვისი გაზეთების მითვისებას (გაუგებრობითი, თუ განზრახ) ბოლო უნდა მოეღოს, მაშინ ერთი ასათ გაიზრდებოდა ხელის მომწერთა რიცხვი.

გ. ბ. ხოლუაშვილი.

ჩოხატაურის გიმნაზიის ნივთიერ ხელმოკლეობისა გამო, დეკემბრის დამლევს, იძულებული გავხდით ჩავსულიყავით ბათუმში და შეგვეწუხებინა იქაური ქართველობა. ოფიციალური ლექციის წაკითხვის ნება ადგილობრივმა მთავრობამ (ინგლისელებმა) არ მოგვცა. კერძო მოხსენების შემდეგ კი გაიმართა ხელის მოწერა და შემოსწირეს,—ქართული ბონებით:

სიხარულიძე ნესტორ გლახუნას ძე—ათი ათასი მანათი; ჯაყელი ალექსანდრე (საშა)—ხუთი ათასი მან.; დოლიძე გრიშა—სამი ათასი მან.; სულუხია მოსე—სამი ათასი მან ; დურსუნ ეფენდი კობახიძე, მგელაძე ბესარიონ, მეგრელიშვილი ილია და კალანდაძე დათიკო—ათასი მანათი თითომ. ბ-ნმა დათიკო კალანდაძემვე შემოსწირა კიდევ ათას ორასი მანათი სამი მოწაფის გასანთავისუფლებლად სწავლის ფულიდან; ხოროშანსკი ეფიმი და ანთაძე გრიგოლ—ხუთასი მანათი თითომ; ამხანაგობა ფირცხალავა—შარაშენიძე—ხუთასი მანეთი; ამხანაგობა იმნაძე—არობელიძე—ასი მან.; დოლიძე მელიტონ—50 მან. (ხუთი თუმანი) სულ ქართული ბონებით შემოვიდა 27 850 მან.

დონის ბონებით შემოსწირეს: აბაშიძე ნესტორ—სამი ათასი მანათი; ჰყუნია რემიზ—ორი ათას ხუთასი მანათი, ჯაყელი ნიკო, ბერძენიშვილი ექვთიმე, არქელის ამხანაგობა, პაპაიანი კოზმა ივანეს ძე (ბერძენია) და ერისთავი ნესტორ—ორი ათასი მანათი თვითომ; კახიანი ივანე, მგელაძე ივანე, ურუშ ძე სიმონ, ელიავა გრიგოლ, გიგინეიშვილი პლ. ხხეიძე კონდრატ, ჰყუნია შალვა, მუსტაფა ეფენდი რეიზ ოღლი, ისაია ილია გიორგის ძე, ბენი სიგურელი, იოანნიდის გიორგი დიმიტრის ძე და ჩხიკვაძე მღვ მიხეილ ბესარიონის ძე—ათასი მანათი თითომ; ოსმან ბეგ შიან ზადე, რუსიძე მათე, პერტენავა ლევ. მაჭარაძე კოსტა, ჩაგოგიძე გიორგი და გოფოძე რაჟდენ—ხუთასი მანათი თვითომ; კახიანი რაჟდენ—ოცდა ხუთი თუმანი; სულეიმან ბეგ ბეჟანიძე, სადრაძე მიხეილ და ოთხმეზური ილია—ათი თუმანი თვითომ. სულ დონის ბონებით შემოვიდა 21,050 მან., რომელი თანხის ქართულ ფულზე გადახურდავებამ მოგვცა 15,525 მანეთი. ხარჯების გარეშე, გიმნაზიის წმინდა შემოსავალი დარჩა—ოცდა ჩვიდმეტი ათას სამას სამოცდა ხუთმეტი მან. (37 375 მ.). გიმნაზიის გამგეობა და მშობელთა წრე დიდ მადლობას უძღვნიან შემომწირველთ. დიდ მადლობას უძღვნიან აგრეთვე ნესტორ ერისთავს, ნესტორ გლახ—ძე სიხარულიძეს, ნიკო ჯაყელს, ქეთო მიხეილ ჩხიკვაძის ასულს და კაპიტონ გოგოლაძეს ფულის შეკრებაში დახმარებისათვის.

ჩოხატაურის გიმნაზიის გამგე ი. ეკალაძე ცინცაძე.

მშობელთა წრის წარმომადგენელი ივ. ერისთავი.

8 იანვარი დ. ჩოხატაური.

— —

ქ. ზესტაფონი. 20 დეკემბერს ზესტაფონის საზოგადო საკრებულოში დადგმულ იქნა პიესა „ბაიყუში“ ადგილობრივ სცენის მოყვარეთაგან ვასო ურუშაძის ხელმძღვანელობით—ზესტაფონის მაღალ დაწყებითი სასწავლებლის ღარიბ მოწაფეთა სასარგებლოთ. წარმოდგენამ, მიუხედავათ ცუდი ამინდისა, წმინდა შემოსავალი დატოვა 5500 მან,, რომელიც პედაგოგიურმა საბჭომ მიიღო დანიშნულებისამებრ მოსახმარად.

პედაგოგიური საბჭო ღრმა მადლობას უცხადებს სცენის მოყვარეთ, რომლებმაც შრომა უსასყიდლოთ მიიღეს თავზე, ქალაქის თვითმართველობას, რომელმაც ერთი თავი შაქარი და ნახევარი ფუთი პურის ფქვილი შესწირა საღამოს მოსაწყობათ; იმ მოქალაქეთ, რომლებმაც თავის წვლილის შემოწირვით გაადიდეს შემოსავლის თანხა; ყველა მანდილოსნებს, რომლებმაც აქტიური მონაწილეობა მიიღეს საქველმოქმედო საღამოს მოწყობაში.

პედაგოგიური საბჭოს თავმჯდომარე, სასწავლებლის გამგის მოვალ. ამსრ. ალ. შრებანსკი.

პედაგოგიური საბჭო აგრეთვე მადლობას უცხადებს ქ. ზესტაფონის მომხმარებელ საზოგადოება „ერთობას“, რომელმაც ხუთასი მან. შესწირა ღარიბ მოწაფეთა სწავლის ფულისაგან განთავისუფლებლათ.

„ფრონტის დღის“ ანგარიში

(გაგრძელება იხ. „ერთობის“ №№ 181, 190, 195, 264, 281 და 296).

დავით იჟინეს ძე როსტომაშვილისაგან „ფრონტის დღის“ სასარგებლოდ 1000 მ., გრ. გენძეხაძის მიერ წნორის წყალზე შეგროვილი დახოცილ გვარდიელების და ჯარისკაცთა ოჯახის სასარგებლოდ 1215 მ. 92 კ., საზოგადოება „აღორძინება“-საგან 968 მ., ბაგრატ ასატუროვის მიერ შეგროვილი (ოჯახში საღამოზე) 1155 მ., გოგელიას მიერ შეგროვილი ბახმაროში მცხოვრებთა შორის 6,605 მ. 45 კ., ქ. სენაკში და სენაკის მაზრის საზოგადოების შორის შეგროვილი 84 762 მ. 70 კ.

„ფრონტის დღის“ მთავარმა კომიტეტმა დაადგინა გაეცეს მის კასიდან: ომში დასახიჩრებულ მეომართა კავშირის საჭიროებისათვის ასი ათასი მ., სახალხო გვარდიის ლაზარეთს სხვადასხვა გაზეთ-ჟურნალების 3 თვით გამოწერისათვის 3,498 მ., ერთდროული დახმარება ომში დაღუპულ გვარდიელის დედას 2,000 მ.

მთავარი კომიტეტი.

(გაგრძელება იქნება)

წერ. რედაქციის მიმართ

„ერთობის“ მე-13 ნომერში მოთავსებულია წერილი ბ. ებანოიძისა, სადაც ის, ალბათ შეცდომით, აღნიშნავს, რომ 4 იანვარს ადგილი ჰქონია სად. გორში ბილეთების მოლარეს მიერ 4 ბილეთში ხარაგოულამდე და 3 ძირულამდე ზედმეტის გადახდევინებას. წინასწარ გამორკვევამ ამ საკითხისა ნათელჰყო, რომ ეს შემთხვევა შეუძლებელი იყო მომხდარიყო ჩემს მორიგეობაში, ე. ი. 4 იანვარს, რადგანაც ამ დღეს აღნიშნულ სადგურებამდე ნაჩვენები რიცხვი ბილეთებისა არ გაყიდულა, ხოლო 3 იანვარს კი გაიყიდა 10-მდე და მაშასადამე, თუ ზედმეტის გადახდევინება მოხდა, ეს მაშინ იყო შესაძლებელი, როცა დავიდოვი მორიგეობდა. თანაც ზედმეტი არ იქნება აღვნიშნო, რომ ავტორს ერთი პიროვნება ჰყავს მხედველობაში, ეს პიროვნება არის დავიდოვი, რომელმაც მას ფული დაუბრუნა.

გორის მოლარე როხებაშვილი

განცხადებანი

31 ამა იანვარს, ქუთაისის საცდელი მინდორი ს. კულაშში
საჯარო ვაჭრობით
გაჰყიდის შვიდი ათას ფუთ
ნაკელს.
(251-2-2) საცდელი მინდვრის გამგე.

ექიმი
გ. ი. მირიანაშვილი
შინაგანი სნეულებანი, მიღება ს ღ 5—7 საათამდე, გარდა კვირისა. ანდრეევის ქუჩა, № 74. ბინა № 1. ვაგზლის აფთიაქის ახლო. (249)

დოქტორი მედიცინისა ყოფ. ასისტენტი ბერლინის და მოსკოვის უნივერსიტეტების კლინიკებისა
გ. გ. მევრაგიანი
შინაგანი ავადმყოფობა, ჰლექისა და გულისა. იღებს რენტგენის ელექტრო-წამლობის კაბინეტში. გასინჯვა და წამლობა X-ს სხივებით. ჰლექების აპერაცია—პნევმოტორაქსი. ყოველ დღე დილის 9—12 საათ. და საღ. 5—8 საათ. ბებუთოვის ქ. № 23, ტელეფ. 7—92.
3230—თ.

ექიმი ლ. ა. [illegible]
იღებს შინაგან და [illegible] ავადმყოფებს ყოველ დღე საღამოს 6—7 საათამდე. ჩერქეზიშვილის ქუჩა № 87, ავჭალის აუდიტორიის ახლო.

ექიმი ა. დ. კეკელიძე
სპეციალურად: სიფილისი (შეშხაპუნება „606“ და „914“) ვენერიული და კანის სნეულებანი. ავადმყოფების მიღება ყოველდღე დილით 9—11 და საღამოთი 4—6 საათამდე. მისამართი: მიხაილოვის პროსპექტი № 116, სასტუმრო „ნოე“-ს პირდაპირ. ტელ. 14—28.
(154—თ.)

ექიმი
ნ. ლ. ტურიაშვილი
იღებს შინაგან, საბებიო და ქალურ ავადმყოფებს მუდამ დღე შუადღ. 1—3 ს. და საღ. 4—5 ს. ნიკოლოზის ქუჩა, № 7, ვორონცოვის ძეგლის ახლოს. ტელ. 14—13. (119—თ.)

პირველი კერძო სამკურნალო
ექიმ ნავასარდიანისა
(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)
დაფუძნ. 1880 წ.
ყოველ დღე კვირის გარდა.
„606“ და „914“ 11—12 საათ.
ბ. ა. ნავასარდიანი—11—12 ს. ხირურ. და ვენ. ავად. (სიფილისი).
ვ. მ. ამახაროვი —10—12 ს. შინაგ. ნერვ. და საბავშო ავად. ელრო.
მ. მ. ავეტისიანი 11—12 ს. ვენ. ავად. (სიფილ.) ხირურგ.
კარაპეტ-ბებურიშვილი—12—1 საათ. (ორშ. ოთხ. და პარასკევი). ქალთა ავად. და ბებიობის ნაწილი.
ე. ა. ბორჯეკოვსკაია—12—1 საათ. (სამშ. ხუთშაბ. და შაბათი).
ტერ გრიგორიან—12—1 ს. შინაგ. და ბავშვთა.
ღარიბებს დარიგება უფასოდ.
საავადმყოფოს დირექტორი
(180—თ.) ექიმი ნავასარდიანი.

კერძო სამკურნალო
ექ. დონხინისა
(მუდმივი საწოლებით) მიხ. ქ. № 14 ტელეფ. 5—97 (სამხედრო სასწავლებლის წინ კინო-ტეატრ „აპოლოს“ გვერდით). ყოველგვარი სნეულებიანი ავათმყოფების მიღება სრული პანსიონი. ცალკე ოთახები.
(თ. 218)

ექიმი ე. მ. მანარიშვილი
სპეციალურად: სიფილისი (შეშხაპუნება „606“ და „914“) ვენერიული და კანის სნეულებანი. ავადმყოფების მიღება ყოველ დღე დილით 9—12 და საღამოს 4—7 საათამდე მისამართი: კუთხე პლეხანოვის (მიხაილოვის) პროსპექტი და კიროჩნის ქუჩ. № 22 (შესავალი კიროჩნის ქუჩიდან) ტელეფონი 10—87.
(114—თ.)

ექიმი ქალი ე. ხ. ბებურიშვილი. ღებულობს ავადმყოფებს შინაგან, ქალთა და ბებიობის ნაწილებში დილით 10—12 საათამდე საღამოს 5—7 საათამდე. მისამართი: იზმაილოვის ქუჩა № 28
(თ. 3065).

დოქტორი მედიცინის
ა. ა. მონსე
სნეულებანი შინაგანი და ნერვების. წამლობა ელექტრონით, ლურჯი სინათლით გიპნოზით და შთაგონებით ავათმყოფობანი კუნთებისა, სიდამბლის და სქესობრივი სისუსტისა.—მიღება დილით: 10½—1 საათ. საღამოთი: 6—7 ს. ხუთშაბათს გარდა კვირაობით არ მიიღება ავადმყოფები. პლეხანოვის ქუჩა (მიხაილოვის პროსპ.) № 111. ტელ. 13—42. (თ.—2)

ექიმი დ. ი. ჯაფარიძე
შინაგანის, ყურის, ყელის და ცხვირის სნეულებანი. ავადმყოფებს მიიღებს 12—1 ნახ. ს. მისამართი: მადათოვის ქუჩა, № 7, ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ. (ტელეფონი 16—65.) (თ. 3463)

თვალის ექიმი
ზ. მ. ცხვედაძე
იღებს ავადმყოფებს დღისით 1—3 საათამდე. იზმაილოვის ქუჩა № 11. მოსკოვის ქუჩიდან პირველი შესახვევი.
(თ. 3322)

ექიმი ბ. ბ. [illegible]
სპეციალურად სიფილისი და მისი შედეგები (შეშხაპუნება „606“ და „914“) ვენერიული (ტრიპერი) და საშარდე ორგანოების სნეულებანი. ავადმყოფების მიღება ყოველ დღე დილის 8—11 და საღამოს 5—8 საათამდე. კვირაობით მხოლოდ დილით. მისამართი: [illegible] ქუჩა № 33

ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროს უწყებაში მყოფი
კომერციული კურსები
თ. მ. ფილოიანისა
ორთავე სქესისათვის. (თფილისი, მიხეილის პრ. № 24, ტელ. № 976), თხოვნების მიღება დილ. 10—12 საათამდე, საღ. 5—7 საათ. იხსნება ახალი განყოფილება.
(3—1)